# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 22 აპრილი 2005 №89 (2412) ფასი 50 თეთრი




**უეფას ახალი წესები**

იუჰანსონი 2007 წლამდე დატოვეს

5



**არვიდას მასიაუსკასი**

მოსკოველებს ანგარიში უნდა გავუსწოროთ

14



**მუჰამედ ალი — უდიდესი ამერიკელი**

15

# გაჭირვების, იონას და პოლიციის ტური



დავით ოდიკაძემ „დინამოს“ ჩემპიონობა დაანახა

ამბობენ, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა თექვსმეტამდე რომ გავზარდოთ, კარგი იქნებაო, ამ დროს კი ათიდან სამი უმაღლესლიგელი სულს ღაფავს. როგორია?! აი, გუშინდელი ტურიც სამადლოდ ჩამთავრდა — „ბათუმი“ და „კოლხეთი“ მინდორზე გასვლას არ აპირებდნენ, ხელფასდანატრებულებს ენთუზიაზმზე ბურთაობა მოსწყინდათ, „დილა“ კი არ გაჯიუტებულა, გავიდა და ითამაშა, მაგრამ ვაი ასეთ თამაშს.

ფოთში „კოლხეთისა“ და „თბილისის“ ფეხბურთელებმა გუნდური ჩხუბიც გააჩაღეს. ისინი პოლიციამ გააშველა, ნამატჩევს კი გულმოსული ფოთელი ქომაგები მსაჯს გაედევნენ, გუნდების ჩხუბში რაც დრო გაილია, რატომ სრულად არ დაამატეო. თბილისელებმა გოგი ფიფიას პენალტით მოიგეს და მეორე ადგილზე აინაცვლეს, მესამეზე კი ზესტაფონელი ზურაბ იონანიძის დუბლით დაჩოქებულ „ტორპედოს“ მიუთითეს. „იონა“ ყოფილ კლუბს არ ინდობს, ფეროელები კი ექსპრესივით მიჰქრიან.

ადგილები შეიცვალა ქვედა ზონაშიც, სადაც „სიონმა“ გორში დაგეგმილი სამი ქულა შეიმატა, რითაც „კოლხეთს“ გადაუსწრო. წლეულს ზესტაფონელებივით ნაუგებელი „ლოკომოტივი“ ბათუმში უგოლო ფრეს დასჯერდა.

ტურის ცენტრალურ მატჩში კი ცხადაძის „დინამომ“ მიჯრით მეოთხედ მოიგო — სავარაუდოდ მომავალმა ჩემპიონებმა დავით ოდიკაძის ადრიანი გოლით „ვიტ ჯორჯია“ გაამწარეს...



გერმანული ჰაიდელბერგიდან სამშობლოში საგანგებოდ ჩამოსულ ნოდარ ახალკაცს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება ჯერ არ გადაუწყვეტია, ჯერ კიდევ ვფიქრობო. ვიდრე ნოდარჩიკა (ასე მოიხსენიებენ საფეხბურთო წრეებში უმცროს ახალკაცს) ფიქრობს, ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ და ამ რუბრიკაში, რომელსაც ერთობ სალაღობო სათაური მოვუძებნეთ, იმაზე ვილაპარაკოთ, რა მოხდება ახალკაცის გაპრეზიდენტების შემთხვევაში.

ჯერ ის ვთქვათ, რომ იურისტის დიპლომიან 29 წლის ახალკაცს თურმე მოწყალე თვალით უყურებს ასევე იურისტი, ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ახალკაცის შანსებს ის ამბავიც ზრდის, რომ მას განათლება უცხოეთში, კერძოდ, გერმანიაში აქვს მიღებული. ახალგაზრდაა, ფლობს უცხო ენებს და კომპიუტერს. ასეთი ბიოგრაფიის ხალხი კი პოსტრევოლუციურ საქართველოში ერთობ დაფასებულია. და მთავარი, ის ნოდარ ნოდარის ძე ახალკაცია.

ჩვენი ვარაუდით, გამარჯვების შემთხვევაში შვილი-ახალკაცი ფედერაციაში იმ ხალხს დაასაქმებს, რომლებსაც მამა-ახალკაცის მმართველობის ჟამს ეჭირათ თანამდებობები. წინა წერილშიც ვიგუმანეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ ვიცე-პრეზიდენტის პოსტს ალბათ შეინარჩუნებს ალექსანდრე ჩივაძე, ხოლო გენერალური მდივნის ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს ვის ანდობს ჰაიდელბერგელი იურისტი, ძნელი სათქმელია. ფარსადანოვიჩის დროინდელი გენსეკი დავით კვინიკაძე ალბათ უარს არ იტყვის კიდევ ერთხელ შეეჭიდოს ამ საქმეს, მაგრამ აქ ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ — სააკაშვილის ფავორიტობის შემთხვევაში შვილ-ახალკაცს ფედერაციის ახალი და ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტება მოუწევს. ასეთ კადრად შეიძლება გაიოზ დარსაძე მივიჩნიოთ, თუმცა... დარსაძეს ჩინოვნიკობას, ვინძლო, ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა ერჩივნოს. გავიხსენოთ, რომ დარსაძეს სფფ-ში მწვრთნელთა ლიცენზირების საქმე აბარია, თავად კი სამწვრთნელო ავან-ჩავანი მამა-ახალკაცისგან შეუსწავლია, მერე კი უცხოეთში გაუღრმავებია.

მაგრამ ნოდარ ახალკაცი ჯერ ფიქრობს, იქნებ მომავალ კონკურენტებთან საერთო ენის გამონახვასაც ლამობს. ყურმოკვრით გავიგეთ, აქაოდა, ვლადიმერ გუცაევთან გაერთიანებას აპირებსო, ახალკაც-არველაძის შესაძლო ალიანსზეც კი ითქვა ამ დღეებში. რას მოიფიქრებს ახალკაცი-უმცროსი, 20 მაისამდე გამოჩნდება. ისე, არა გვგონია, გერმანიიდან საგანგებოდ ჩამოსულს გადაწყვეტილი არაფერი ჰქონდეს.

კახა ხურციძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

29 ტური

# სამქულიონა

## რიონში ჩაყრილი სიხარული

ზესტაფონი. 21 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური. 7000 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 2:1 ტორპედო

1:0 იონანიძე (28), 1:1 ჯიქია (57), 2:1 იონანიძე (71)

ზესტაფონი: ქვაჩახია, ღონღაძე, იონანიძე, თოდუა, ზირაქიშვილი (სულაკაძე 74), ჩიკვილაძე, ძამსაშვილი, განუგრავა (ბესარაშვილი 67), მაგგულიძე, თურმანიძე (ბ. ნოზაძე 90), კ. ჩხეტიანი

სათადარიგონი: სომხიშვილი, იმედაძე, გოცირიძე, გვარუციძე

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ტორპედო: რევიშვილი, ბაქრაძე, მემარნიშვილი, გამეზარდაშვილი, რაქვიაშვილი, ბოლქვაძე, ნერგაძე, კოშკაძე, ახალაია (ნუწუბაძე 46), მეგრელაძე, ჯიქია

სათადარიგონი: გაბელია, მერებაშვილი, სოხელია, დ. ონიანი, ჯანჯღავა, გბრალიძე

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: მემარნიშვილი (60), მეგრელაძე (76), რაქვიაშვილი (88)

მსაჯები: ა. კრიქაშვილი (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ცირდავა (ზუგდიდი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

ინსპექტორი: თ. გუნთაძე



ზურაბ იონანიძე

ოთარ მაღლაკელიძე ზესტაფონიდან

**წინა** ტურში „თბილისის" სტუმრად ძლევით „ზესტაფონმა" ქუთაისის „ტორპედოც" გაახარა. ოთარ გაბელიას გუნდმა ლუის ცაკარიასისას მაშინ ერთი ქულით გადაუსწრო და მეორე ადგილზე დამკვიდრდა, თუმც გუშინ ფეროელებმა უკვე „თბილისი" გაახარეს. იმერული დერბი ზედიზედ მეორედ „ზესტაფონის" გამარჯვებით დასრულდა და მეორედვე მატჩის ბედი ექსქუთაისელმა ზურაბ იონანიძემ გადაწყვიტა.

გუშინ მასპინძელთა ორივე გოლი „იონამ" გაიტანა და თანაქალაქელები უკან იმედგაცრუებული გაუშვა. აკი ერთმა ქომაგმა თამაშის ბოლოს ალალადაც ამოიოხრა, რაც თავის დროზე სიხარული გვაჩუქა, მეორე თამაშია, წყალში ყრისო.

როგორც იქნა, თემურ მახარაძის გუნდმა საკუთარ სტადიონზე ისე ითამაშა, ტალახში არავინ ამოსვრილა. მშვენიერი ამინდი იყო და ტრიბუნებიც ლამის ნახევარი საათით ადრე შეივსო, თუმც შეხვედრა არცთუ ლამაზი სანახავი გამოდგა. რეალური მომენტი ორივე კართან მრავლად კი შეიქმნა, მაგრამ ტემპი იყო ისეთი დაბალი, პირველი ნახევრის შემდეგ ნახევარი სტადიონი წინასწარ გარიგებულ ფრეს ეჭვობდა.

შესვენებაზე მასპინძლები 1:0-ით გავიდნენ. 28-ე წუთზე გიორგი განუგრავას შორეული დარტყმა ისეთი სუსტი გამოდგა, ბურთი კარის წინ მდგომ იონანიძეს მიუვიდა და ამანაც გაიტანა.

თითქმის ასპროცენტიანი საგოლე მომენტები გაუცუდდათ ზაზა ზირაქიშვილსა და სევასტი თოდუას, ქუთაისელთაგან კი ყველაზე ახლოს მიზანთან ალექსანდრე კოშკაძე იყო — დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან მისი გასროლილი ზურაბ ქვაჩახიამ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმი „ტორპედომ" ურეალურესი შანსის განიავებით დაიწყო. 47-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულმა ბურთმა „ზესტაფონის" საჯარიმოში კარგა ხანს იტრიალა. მცველებმა ხეირიანად მოგერიება ვერ შეძლეს, ხოლო სტუმრებმა კარში დარტყმა. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ბურთი ქვაჩახიას ხელში აღმოჩნდა და ხალხმაც შვებით ამოისუნთქა. მერე ისევ მახარაძის გუნდი გააქტიურდა და ადვილად გასატანები იონანიძემ და ზირაქიშვილმა გაატანეს ქარს. ვერ გეიტან, გაგიტანენო, თქვა მავანმა გულშემატკივარმა და ისე აგიხდეს ყველაფერი. 57-ე წუთზე რევაზ ჯიქიამ ახლოდან თავურით გაათანაბრა. სტუმრებს დაწინაურებაც შეეძლოთ, თუმც ქვაჩახიასთან ერთიერთზე დარჩენილმა გია მეგრელაძემ მეკარეს გაარტყა. ეს „ტორპედოს" ბოლო შანსი აღმოჩნდა. მორიგ სამ ქულაზე დაგეშილმა „ზესტაფონმა" კი რამდენჯერმე შეუტია სახიფათოდ და ერთხელ მიზანსაც მიაღწია. მეკარის და მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით ისევ „იონამ" ისარგებლა.

# ბენეში ხიზანიშვილზე: გეტყვით მხოლოდ სელტიკის შემდეგ

**უკვე** თითქმის ოთხი თვეა, ზურაბ ხიზანიშვილს „რეინჯერსის" სასტარტოში არ უთამაშია, მაგრამ ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალი სეზონიდან ზურა რეინჯერსელი აღარ იქნება.

„რეინჯერსმა" ზურას ჯერ კიდევ შარშან შესთავაზა კონტრაქტის გაგრძელება, რაზეც ჩვენებური წლეულს, თებერვალში დაიყოლია, მაგრამ რეინჯერსელთა მენეჯერი ალექს მაკლიში ამის შემდეგაც არ ათამაშებს ხიზანიშვილს.

ბრიტანულმა წყაროებმა კი გაავრცელეს ცნობა, რომ „რეინჯერსი" ფრანგული „ლილის" ბერძენი მცველის სტატის ტავლარიდისის ყიდვას აპირებს და ფრანგებმა ამ ფეხბურთელში გლაზგოელებს 3,5 მილიონი გირვანქა მოსთხოვეს.

მოკლედ, „რეინჯერსი" ხიზანიშვილს არ ათამაშებს და თან სხვა მცველის ყიდვას ეშურება. ყველაფერ ამის თაობაზე ხიზანიშვილის აგენტ ივან ბენეშს დავურეკეთ და ვკითხეთ, თუ არის რომელიმე გუნდი დაინტერესებული ხიზანიშვილის „რეინჯერსისგან" ყიდვით ან თხოვებით.

„24 აპრილს „რეინჯერსს" ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი აქვს „სელტიკთან" და ამ კითხვაზე პასუხის გაცემასაც ამის შემდეგ შევძლებ" — გვითხრა ბენეშმა და უნდა ვივარაუდოთ, რომ მას უკვე გამოძებნილი აქვს „რეინჯერსზე" არანაკლებ სახელიანი კლუბი ხიზანიშვილისთვის.

დავით თავართქილაძე

### ირლანდია

პრემიერლიგა. VI ტური

ლონგფორდი 0:2 შელბურნი

### შვეიცარია

სუპერლიგა

გადადებული მატჩი

ძსამაძსი — თუნი გადაიდო

### ჩეხეთი

თასის მეოთხედფინალი

ლიბერეცი 4:1 იაბლონეცი

### მექსიკა

კლაუსურა. XIV ტური

ტოლუკა 2:0 სანტოსი

### ჰოლანდია

თასის ნახევარფინალი

ტილბურგი 1:0 აიაქსი

### ესპანეთი

თასის ნახევარფინალი

პირველი მატჩი

ბეტისი 0:0 ბილბაო

### უკრაინა

თასი

ნახევარფინალი

პირველი მატჩები

შახტარი 2:1 დნეპრო

კრივბასი 1:1 დინამო

### თურქეთი

თასი

ნახევარფინალი

ფენერბაჰჩე 1:1 (0:0დდ. 4:3პენ.) დენიზლი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა** — **მეორე ეტაპი 29 ტური**

თბილისი. 21 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 900 (ტევადობა 70 900)

## დინამო 1:0 ვიტ ჯორჯია

1:0 ოდიკაძე (24)

**დინამო:** ზოიძე, ლ. ქელიძე (კ. მახარაძე 69), ორბელაძე, კაშია, კანდელაკი, ლ. ნოზაძე, გ. ჭელიძე (ნავალოვსკი 73), ბაბუნაშვილი, დ. ოდიკაძე, დვალიშვილი, მელქაძე (დვალი 58)
*სათადარიგონი:* კუნეგატო; თომაშვილი, რომერო
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ა. კვახაძე (სახოკია 61), ინწკირველი, დ. ლომაია, თ. კობიაშვილი (ცხომარია 78), დიღმელაშვილი, პ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, გველესიანი (გ. დათუნაიშვილი 74), ფეიქრიშვილი, გ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; აფშილავა, ლ. კვარაცხელია, კუხრაშვილი
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**გაფრთხილება:** ბაბუნაშვილი (64), ლომაია (75)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

# დინამო წინ! ბურთით და უბურთოდ

**დავით თავართქილაძე**

„დინამო“ ჩემპიონის წინააღმდეგ“ მჭექად კი ჟღერს, მაგრამ ეს ის „ვიტ ჯორჯია“ არაა, შარშან ჩემპიონობისთვის რომ ეპაექრებოდა „დინამოს“ და მიზანსაც მიაღწია. ეს კი ის „დინამოა“, რომელსაც წლეულს ჩემპიონობისთვის არავინ თუ ვერავინ ებრძვის.

ამგვარი დაპირისპირება იყო გუშინ, თუმცა ყველა გუნდი „დინამოსთან“ მომეტებული ჟინით რომ იბრძვის, ეს კი ერთხელაც ვიხილეთ.





მატჩის მომგები გოლი დავით ოდიკაძემ გაიტანა

ვიტელებს ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი აკლდათ და საქმეს ესეც უძნელებდა. ჯანი კარნევალიმ 3-6-1 სქემით დაიწყო მატჩი, ძალიან სურდა ნახევარდაცვაში უპირატესობის მოპოვება, მაგრამ პირველ ტაიმში ფლანგებზე დაეჩაგვრინა მეტოქეს, რაც გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა.

...დავით დიღმელაშვილმა სოლო რეიდით სცადა „დინამოს“ დამცავი ეშელონების გარღვევა, ეს თითქმის გამოუვიდა კიდეც, მაგრამ კარში დარტყმისას სერგო ორბელაძემ დაუფარა.

კახა ცხადაძემ სხვათა გარდა „დინამოში“ ის სიახლეც შეიტანა, რომ გიორგი ჭელიძე ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გაამწესა. ეს ფეხბურთელი გუშინ მართლაც გამორჩეული იყო და მე-9 წუთზე ოცდაათამდე მეტრიდან ისეთი დაარტყა, რომ ბურთი „ვიტ ჯორჯიას“ კარის ხარიხამ აისხლიტა.

„დინამომ“ მარჯვენა ფლანგზეც იქმიტინა, სადაც დავით ოდიკაძე მოსვენებას არ აძლევდა ვიტელებს, მაგრამ მის კარის გასწვრივ ჩაწოდებულებზე სერგო ჭურაძე ყოჩაღობდა.

თუმც მოსახდენი მაინც მოხდა — ოდიკაძემ ერთხელაც აკრიფა სისწრაფე, ვლადიმერ დვალიშვილთან მოხდენილად გაითამაშა ბურთი, ჭურაძესთან პირისპირ აღმოჩნდა და დამახვილებული კუთხიდან ოსტატურად გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარის შორეულ კუთხეში — „დინამო“ დაწინაურდა. თამაშს არ ეტყობოდა, რომ ყველაფერს ერთი გოლი გადაწყვეტდა, მაგრამ ასე კი მოხდა.

გატანილმა გოლმა „დინამო“ თითქოს დააოკა, თუმც რამდენიმე მწვავე ჩხვლეტა მაინც არგუნა სტუმრებს.

შესვენების შემდეგ ვიტელებს თითქოს ფხა მოემატათ, უფრო ენერგიულად ათამაშდნენ, თუმც ხიფათი უფრო მათ კართან იქმნებოდა და ჭურაძემ ერთხელაც ითამაშა ჩინებულად — ის კვლავ ოდიკაძის ჩაბზრიალებულ ბურთს გამოუდგა მუშტებით.

„ვიტ ჯორჯიას“ გამწევ ძალას გუშინ პავლე დათუნაიშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი წარმოადგენდნენ, მათი მხნეობა მართლაც დასაფასებული გახლდათ, მაგრამ ვიტელებს თავდასხმაში ოდენ ვლადიმერ გოჩაშვილი ჰყავდათ, ვინც კარგად შებოჭა „დინამოს“ დაცვამ.

მეორე ტაიმის თხუთმეტი წუთის შემდეგ კარნევალიმ გოჩაშვილს ზაზა სახოკია შეუწყვილა, 3-5-2-ზე გადააწყო გუნდი, მაგრამ არც ამან გაჭრა. პირიქით, „დინამოს“ მიეცა გატანის შანსი. ჭურაძემ ჯერ დვალიშვილს ააცილა ფეხიდან ბურთი, მერე ჯაბა დვალს. ამ ეპიზოდის შემდეგ „დინამომ“ ერთხელაც გაიწია საგოლედ, მაგრამ საშუალო მანძილიდან შესრულებული დარტყმა არც დვალს გამოუვიდა და არც გიორგი ნავალოვსკის.

ყველაფერ ამის შემდეგ კი „ვიტ ჯორჯიას“ მართებდა გატანა — ფეიქრიშვილი რამდენიმე დამცველს გასცდა, კარგად გაუჭრა ზაზა სახოკიას, ვინც მახვილი კუთხიდან შეეყარა ირაკლი ზოიძეს, მაგრამ შორეულ კუთხეში არაზუსტად დაარტყა.

„დინამომ“ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ.

*ჯანი კარნევალი:* პირველი ტაიმი „დინამოსი“ იყო, მეორეში კი ჩვენ უკეთ ვითამაშეთ, საგოლე შანსიც გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. როცა „დინამოს“ ეთამაშები, მომენტის გაცუდება არ შეიძლება, მაგრამ ეს ფეხბურთია...

*კახა ცხადაძე:* მატჩი მთლიანად ჩვენი სცენარით წარიმართა. ფეხბურთელების მადლობელი ვარ, მათ კარგად შეასრულეს დავალება, მეტოქეს კი თამაშგარე მდგომარეობიდან ჰქონდა საგოლე მომენტი და მსაჯებს ვთხოვ, ასეთ პრინციპულ მატჩებში ნაკლები შეცდომები დაუშვან. უბურთოდ თამაშის მხრივ „დინამოში“ საქმე წინ მიდის და ეს ერთობ მნიშვნელოვანია.

## თქვენი ინტერვიუ კახა კალაძესთან

**«მილანი» მილანი. იტალია**

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა. კითხვები 25 აპრილის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და კახასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მაისამდე გამოქვეყნდება.*

*ერთი სიტყვით, იაქტიურეთ, თქვენ კახა კალაძე გპასუხობთ...*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**



ფოთი. 21 აპრილი. 16 საათი. ფაზისი. 100 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:1 თბილისი

| |
|---|
| 0:1 ფიფია (65პ) |
| კოლხეთი: გიზო შენგელია, დ. ნარსია, გ. კილასონია, მკობია, ყურაშვილი, ე. მარგალიტაძე, კუნჭულია, ლ. მელიქია, შარია (ზ. რაზმაძე 61), მიკუჩაძე, ხიზანიშვილი (ნ. ნარსია 73). სათადარიგონი: მიქავა, გოგნაძე, ზ. გოროზია, წაბრია. მწვრთნელი: სერგო გაბელაია |
| თბილისი: გრიშიკაშვილი, მესხი, ბ. ფლენტი (რევაზ ბარაბაძე 59), ლოლაძე, ქემოკლიძე, ფიფია, გ. ფოფხაძე, მიქიაშვილი, შ. ჯიქია, აფციაური (ბოჭორიძე 82), მინ ჩოი (ლილუაშვილი 80). სათადარიგონი: ჯინჭარაძე, კიმი, ხიდეშელი, ტომარაძე. მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი |
| გაფრთხილება: შარია (29), მესხი (40), ლ. ნარსია (43), კილასონია (65), ყურაშვილი (78), ფიფია (78) |
| მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი) |
| ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი |

# სად წავიდა ის წუთები?
## ფოთი შეშინებულ მსაჯს გაუბრაზდა



**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**იმ ქალაქში,** სადაც ქართული ფეხბურთის აკვანი დაირწა, ფეხბურთი არ უნდა მოკვდეს. ასეთია ფოთელთა რკინისებური ლოგიკა, მაგრამ საქმე იქითკენ მიდის, რომ „კოლხეთი" უფულობით სულს ღაფავს და დაშლასთან ისე ახლოა, როგორც არასდროს.

მატჩამდე კოლხები ჯანყით იმუქრებოდნენ და „თბილისთან" გასვლას არ აპირებდნენ. ფეხბურთელებთან პორტის ხელმძღვანელი თემურ მიმინოშვილი მისულა და მორიგი დაპირებით მოედანზე არგასვლა გადააფიქრებინა. თუმცა სადამდე გაგრძელდება ასე, კაცმა არ იცის.

ფოთში ამბობენ, ქვეყნის პირველმა პირმა არ იცის, გუნდი ასეთ დღეში რომაა, თორემ პორტის ფულებს არ დაამადლიდაო. ვერ გეტყვით, ასეა თუ არა, მაგრამ ის ხომ ცხადია, პორტი ფოთის სიმბოლოა და მისი შემოსავლების მცირედი ნაწილი ქალაქს, მის გუნდს უნდა მოხმარდეს.

...ნირწამხდარი და ახალბედებით მოთამაშე „კოლხეთი" მთელი პირველი ტაიმი ტოლ-სწორად ეთამაშა მეტოქეს. ეს კი არა, ტაიმის პირველი და ყველაზე მწვავე მომენტი სერგო გაბელაიას ბიჭებმა შექმნეს. 21-ე წუთზე ლევან აკობიამ შორეულ ძელთან ჩაუკიდა ბურთი ვასილ კუნჭულიას, ამან თავით კოკა მიკუჩაძეს დაუგდო და... რომ არა თბილისელი მცველი, გოლი გარდაუვალი იყო.

ხელი მალე სტუმრებმაც გამოიღეს და შოთა ჯიქიას წაქცევისთვის პენალტი ემოციამოჭარბებულად მოითხოვეს, მაგრამ ამაოდ. ტაიმის ბოლოსკენ, ხუთწუთიან მონაკვეთში კი ორჯერ სახიფათო ჯარიმაც მოინადირეს. პირველად თორნიკე აფციაურმა ცოცხალ კედელს გაარტყა, მეორე ჯერზე კი გოგი ფიფიას დარტყმა ოდნავ აუცდა.

შესვენების შემდეგ თამაშის ხასიათი დიდად არ შეცვლილა. მასპინძლები გონივრულად აგორებდნენ ბურთს, სტუმრები კი გასატან შანსს ეძებდნენ და 65-ე წუთზე გაუმართლათ კიდეც — საჯარიმოში აფციაურთან ჭიდილში გიორგი კილასონიამ ყოვლად გაუმართლებლად წაჰკრა ბურთს ხელი და პენალტს გამორჩა — ფიფიამ ეს შანსი უნაკლოდ გამოიყენა.

ამ გოლმა სიტუაცია დაძაბა და კულმინაციას 78-ე წუთზე მიაღწია. ერთ ეპიზოდში ფეხბურთელები წაკინკლავდნენ, რაც ლამის ჩხუბში გადაიზარდა. მატჩი დაახლოებით შვიდი წუთით შეჩერდა და სამართალდამცავებმა სიტუაციის განმუხტვა შეძლეს. ძალიან დაუფიქრებლად მოიქცა აფციაური, რომელმაც რამდენჯერმე უზრდელი ჟესტით გაალიზიანა გულშემატკივარი.

თამაში გაგრძელდა და მსაჯს მინიმუმ შვიდი წუთის დამატებაც მართებდა. თუმც ავთანდილ ორდინიძემ რატომღაც სამი წუთი დაამატა და „ფაზისის" ბინადარნი კიდევ ერთხელ გადაირივნენ.

ვერ გეტყვით, იმ „წართმეულ" წუთებში „კოლხეთი" რას მოიმოქმედებდა, მაგრამ ერთიცაა — ეტყობა, უმართავი სიტუაციის საშიშროებამ დააჩქარა ორდინიძე.

# ჩემი ჭირი მე ბიჭიებო, დაგვეხმარეთ!..

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

ბათუმი. 21 აპრილი. 16 საათი. დინამო. 300 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 0:0 ლოკომოტივი

| |
|---|
| ბათუმი: თოთლაძე, ი. მახარაძე (ცანავა 56), ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, გ. მანჯავა, ლ. ხმალაძე, ბესო თედორაძე (გოგიშვილი 62), გალოგრე, დარჩიძე, ღლონტი, მეტრეველი (ფირცხალაიშვილი 50). სათადარიგონი: ი. ბალაძე, დუმბაძე, რამიშვილი, ჯინჭარაძე. მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |
| ლოკომოტივი: სტურუა, რ. ონიანი, მახვილაძე, გიგაური, მანჩხავა, სეთურიძე, ლ. ქებაძე, სანიკიძე (ალავერდაშვილი 60), დ. ფოფხაძე, კახელიშვილი (რამონი 46), სირბილაძე. სათადარიგონი: ზ. ზალაძე, თავბერიძე. მწვრთნელი: ნოდარ აკობია |
| გაფრთხილება: მეტრეველი (26), გალოგრე (84), სირბილაძე (90) |
| მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ზ. ანიაშვილი (გორი) |
| ინსპექტორი: ს. კვარაცხელია |

**საფრთხე** იყო, ეს მატჩი საერთოდ არ გამართულიყო. უპატრონოდ დარჩენილი „ბათუმის" ბედი გაურკვეველია — ფეხბურთელებს ელემენტარული პირობები არა აქვთ და რა ხანია, არც ხელფასები მიუღიათ. ისინიც მინდორზე გასვლას უარობდნენ.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, ალექსანდრე გეგენავას განცხადებით, „ბათუმი" უპატრონოდ არ დარჩება, მაგრამ ის, ვინც პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, ბოლომდე უნდა ედგეს გუნდს გვერდით.

ასეა თუ ისე, მატჩი შედგა. ამ გუნდების ბოლო ოთხი მატჩი ფრედ დასრულდა.

დიდი ვერაფერი თამაში, დუნე და უინტერესო ბურთაობა გაიწელა. პირველი სახიფათო ეპიზოდი გოგიტიძის შეგირდებმა შექმნეს. ავთანდილ ღლონტმა კონსტანტინე მეტრეველი შეატოვა ზვიად სტურუას, თუმც ბათუმელთა ახალწვეულმა ბურთი კარს დიდი მანძილით ააცილა.

მეორე ტაიმშიც უპირატესობა არცერთისა იყო და არცერთ მეკარეს არ დასჭირვება თავის გამოდება. ერთი ეგ იყო, ირაკლი თოთლაძემ იხსნა „ბათუმი" გოლისგან. 65-ე წუთზე დაჩი ფოფხაძე აღმოჩნდა მასთან პირისპირ, მაგრამ თოთლაძემ იყოჩაღა.

ამ ეპიზოდამდე კი ლამის კურიოზული ბურთი შეგორდა თბილისელთა კარში — სტურუას მცველმა ბურთი ფეხით დაუბრუნა, მეკარემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ ბათუმელთა კაპიტანს გაარტყა, ასხლეტილი ბედად კარს აცდა.

*ნოდარ აკობია:* ძნელი თამაში იყო. ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ერთ ქულას დავჯერდით.

*ამირან გოგიტიძე:* რთული მეტოქე გვყავდა. ჩვენი მიზანი იყო, არ წაგვეგო. ბიჭებმა კარგად ითამაშეს, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ.

# კოჭლი სამიანი არის მერვე საოცნებო

გორი. 21 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 800 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:2 სიონი

| |
|---|
| 0:1 გოგოლაძე (71), 0:2 დოლიძე (90) |
| დილა: ა. მაისურაძე, ო. მგელაძე, რ. ხაჭაპურიძე (სამადაშვილი 77), ქარქუზაშვილი, დ. მაისურაძე (ზუქაშვილი 84), დ. ხანიშვილი, რევაზიშვილი, ტლაშაძე (გ. ნადირაძე 55), ლ. გოჩაშვილი, ა. ლაბაძე, სულთანიშვილი. სათადარიგონი: ნასყიდაშვილი; ლ. თურმანიძე, თომაშვილი, ჯობაძე. მწვრთნელი: რევაზ მამესწარიშვილი |
| სიონი: ბობღიაშვილი, სიდამონიძე, ი. ვაშაკიძე, ნადირაშვილი (ოქრომჭედლიძე 86), ალავიძე, გ. დოლიძე, ავალიანი (ქოქიაშვილი 56), ჩაჩუა, დათვაძე, რუსია (გოგოლაძე 65), ქარდავა. სათადარიგონი: ასლანაძე; გიორგი შენგელია, სვანიძე, ბ. შელია. მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი |
| მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ელიკაშვილი; ლ. სილაგაძე (ორივე თბილისი) |
| ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა |

**ილია ნანობაშვილი** გორიდან

**რამდენ** ხანს წვალობდა „სიონი" და, როგორც იქნა, მერვე საფეხურზე აცოცდა, რითაც უმაღლესი ლიგიდან გასავარდნი ადგილი „კოლხეთს" გაუცვალა. ქულებზე მშიერი მგელივით დაგეშილი ბოლნისელები რომ გორიდან ხელცარიელები არ დაბრუნდებოდნენ, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდებოდა, მაგრამ თამაში? ოო, ეს უნდა გენახათ: ერთი იუმორისტული ქართული სამღერისა არ იყოს, უიმე, რა დონეა...

შეიძლება ითქვას, გორული მატჩი საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზეც კი ულიმღამო გამოდგა. ისე კი, აუტსაიდერების თამაშში ბურთის ამღერებას არც არავინ ელოდა. „დილა" „დილად", უხელფასო და წყალწაღებულ გუნდს ჯიგრიან ბურთაობას ვერ მოსთხოვ, მაგრამ „სიონი" რას უცდიდა, ხონჩით უნდა მიერთმიათ მისთვის სამი ქულა?! ბედის ირონიით, ასეც მოხდა: 71-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა დავით გოგოლაძემ შორიდან დაარტყა. ამ ბურთის აღებას კასილიასობა და ბუფონობა არ სჭირდებოდა, მაგრამ მასპინძელთა კარში ხომ 16 წლის გამოუცდელი ალექსანდრე მაისურაძე იდგა — 0:1.

არაფრისგან გაშვებულმა გოლმა გორელები უარესად გატეხა, ბოლნისელ დავით დათვაძეს მალევე შეეძლო მეორე ბურთის გატანა, მაგრამ მაისურაძემ ამჯერად იყოჩაღა, ბოლო წუთზე კი „სიონში" საუკეთესოს, გრიგოლ დოლიძის 20-25 მეტრიდან დარტყმული მინდორმა (უფრო სწორად, მინდორზე უშნოდ ამოშვერილმა ბელტმა) აისხლიტა, „დილას" მეკარეც უდროოდ გადახტა და 0:2.

პირველ ტაიმსა და მეორის საწყის წუთებზე კი მოკლედ ვიტყვით: „სიონი" უფრო უპირატესობდა, ჩია დათვაძე ერთ-ორ გორელს იოლად უმკლავდებოდა, მაგრამ ხან ზედმეტად ათრევდა ბურთს, ხან კი ბოლო პასი არ გამოსდიოდა. ტანმაღალმა ბესიკ ქარდავამ და სწრაფმა მამუკა რუსიამ თავდასხმაში ვერ იაქტიურეს, თუმც რუსიას ორჯერ შეეძლო გატანა — ჯერ მაისურაძესთან პირისპირ დარჩა და დარტყმა დაახანა, მერე კი საპენალტე ადგილიდან კარს გადააცილა.

აქა-იქ „დილაც" იკბინებოდა და ყველაზე დასამახსოვრებელი ალექსანდრე ლაბაძის ლამაზი ნახევრად მაკრატელა იყო, მინდია ბობღიაშვილის კარს სანტიმეტრებით რომ ჩაუქროლა. ერთხელაც სამი გორელი ერთ ბოლნისელ მცველზე და მეკარეზე გადიოდა, მაგრამ ბურთი უაზროდ გაათამაშეს. ეს იყო და ეს...

*მერაბ კოჭლაშვილი:* აუტსაიდერების შესაფერი თამაში იყო. „დილას" გამოუცდელი მეკარე ჰყავდა და ბიჭებს დავავალე, ხშირად ერტყათ კარში. შესვენებაზე მკაცრად ვესაუბრე შეგირდებს, ისინი მოშვებულები თამაშობდნენ და იოლად მოგების იმედი ჰქონდათ. „დილა" ალალად მებრალება, გორში ფეხბურთი არ უნდა კვდებოდეს.

*რევაზ მამესწარიშვილი:* არავითარი ყურადღება, უკან და უკან მიდის საქმე. მომხედი არავინ ჩანს, დაპირებები კი არ გვაკლია. ჯერ გოჩა ძასოხოვი მოვიდა ჩვენთან, შემდეგ პარლამენტარი კაკო ყიფიანი, ამბობდნენ, „დილას" სპონსორობა სურთო, მაგრამ...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 19 | 4 | 6 | 60:24 | 61 |
| თბილისი | 29 | 16 | 6 | 7 | 49:32 | 54 |
| ტორპედო | 29 | 14 | 10 | 5 | 44:25 | 52 |
| ლოკომოტივი | 29 | 12 | 13 | 4 | 34:19 | 49 |
| ზესტაფონი | 29 | 14 | 4 | 11 | 32:40 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 29 | 11 | 8 | 10 | 45:33 | 41 |
| ბათუმი | 29 | 8 | 11 | 10 | 31:24 | 35 |
| სიონი | 29 | 8 | 4 | 17 | 26:50 | 28 |
| კოლხეთი | 29 | 7 | 5 | 17 | 25:45 | 26 |
| დილა | 29 | 2 | 3 | 24 | 16:70 | 9 |

# უეფას ახალი წესები
## იუჰანსონი ტალინში დატოვეს

*გუშინ ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გამართულ უეფას კონგრესზე, ამ ორგანიზაციაში შემავალმა ორმოცდათორმეტივე ქვეყნის წარმომადგენლებმა რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს*




**ლენარტ იუჰანსონი უეფას პრეზიდენტის პოსტს 2007 წელს დატოვებს**

**უპირველესად** აღვნიშნოთ ის, რომ უეფამ, ფიფასა და სხვა კონფედერაციების მსგავსად, საპრეზიდენტო არჩევნები ერთი წლით გადასწია, კენტი რიცხვებით დასრულებულ წელიწადებზე დანიშნა ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან უეფას საპრეზიდენტო არჩევნები მუნდიალებს, ევროპის ჩემპიონატებს, ოლიმპიადებს და სხვა სერიოზულ შეჯიბრებებს აღარ დაემთხვევა.

აქედან გამომდინარე, შვედი ლენარტ იუჰანსონი თავის პოსტზე სულ ცოტა, 2007 წლამდე ანუ უეფას პრეზიდენტის შემდეგ არჩევნებამდე დარჩება. შეგახსენებთ, რომ 75 წლის იუჰანსონი ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას 1990 წლიდან უძღვება და თავად მის მიერვე ადრე გაკეთებულ განცხადებებს თუ ვენდობით, შემდეგ არჩევნებზე თავისი კანდიდატურის წამოყენებას აღარ აპირებს.

აქვე ვთქვათ საკმაოდ ორიგინალურ მეთოდზეც, რომლითაც უეფა საკლუბო ფეხბურთში ლეგიონერებზე ლიმიტის შემცირებას აპირებს.

ტალინში მიღებული ახალი წესის თანახმად, რომელიც „სარბიელში“ უკვე გამცნეთ, 2008 წლიდან ყველა კლუბი ვალდებული იქნება, 25 ფეხბურთელიდან 4 უშუალოდ გუნდის აღზრდილი ჰყავდეს, ხოლო კიდევ 4 მისი ქვეყნის შვილი. კლუბის აღზრდილ მოთამაშეებად ჩაითვლებიან ფეხბურთელები, რომლებმაც მინიმუმ 3 წელი დაჰყვეს გუნდში და 15-დან 21-წლამდელები არიან. ასეთ ფეხბურთელებზე შეზღუდვა არ იმოქმედებს.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს წესი ნელნელა დაიწყებს მუშაობას და ძალაში უკვე შემდეგი წლიდან შევა — 2006 წელს თითეული კლუბი ვალდებული იქნება, 2 თავისი და ორიც ქვეყანაში აღზრდილი მოთამაშე მაინც ჰყავდეს გუნდში. 2007 წელს კი მინიმალური ზღვარი სამამდე გაიზრდება, ხოლო 2008 წლიდან ოთხზე ავა.

„ამგვარი გადაწყვეტილება დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შემდეგ მივიღეთ. ეს ფეხბურთის განვითარებისთვის ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია. აქამდე კლუბები თავიანთ აღზრდილებს სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ და ეს ყველას ზიანს აყენებდა“ — განმარტა კონგრესის დასასრულს უეფას ვიცე-პრეზიდენტმა პერ-რავნ ომდალმა.

**გიორგი ძაძამიძე**

# ტრეზეგე თუ დელ პიერო
## რომელი სად წავა?

*გუშინწინ, „იუვენტუსისა“ და „ინტერის“ მატჩში ტურინელთა თავკაცმა ფაბიო კაპელომ ალესანდრო დელ პიერო ისევ ნაადრევად გაიყვანა მინდვრიდან, რამაც ფეხბურთელსა და გუნდის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა. ჭორებს თუ ვენდობით, დელ პიერომ ამის შემდეგ სერიოზულად დაიწყო ფიქრი გუნდიდან წასვლაზე. გარდა ამისა, კვლავ ალაპარაკდნენ, შესაძლოა, „დელე ალაპი“ დავიდ ტრეზეგემაც დატოვოსო. ამჯერად ჟურნალისტებს საფუძველი თავად ფრანგმა მისცა*






**დავიდ ტრეზეგეს და ალესანდრო დელ პიეროს „იუვენტუსის“ შეფობასთან პრობლემები აქვთ**

**ცოტა ხნის** წინ, „ბიანკონერის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, ალექსი უნდა შეეგუოს, რომ შეცვლიან-ხოლმე და ზოგჯერ ძირითადში საერთოდ ვერ მოხვდება, რადგანაც ფორმაში არ არისო. ბუნებრივია, მას კვერი ფაბიო კაპელომაც დაუკრა, რაც დელ პიეროს არ ესიამოვნა, მაგრამ რადიკალური განცხადებისგან თავი შეიკავა.

„ინტერთან“ მატჩის შემდეგ კი, როგორც ჩანს, ტურინელთა კაპიტანს მოთმინების ფიალა აევსო. მართალია, მას კომენტარი კვლავ არ გაუკეთებია, მაგრამ გავრცელებული ცნობით, დელ პიეროსა და „იუვეს“ უფროსობას შორის უსიამოვნო საუბარი გუშინწინვე შედგა და „პინტურიჩოც“ გუნდის დატოვებაზე სერიოზულად ფიქრობს.

დელ პიერო ყოველთვის სიმპათიით იყო ინგლისური ფეხბურთისადმი განწყობილი და არაერთხელ უთქვამს, თუ სადმე წავალ, მხოლოდ ნისლიან ალბიონზე, კერძოდ კი ლონდონშიო. და, ტურინელის გასახარად მისი შეძენა „ტოტენჰემს“, „არსენალსა“ და „ჩელსის“ სურს. ასე რომ, დიდი შანსია, მხარეებმა მოლაპარაკება წამოიწყონ და ტრანსფერი მართლაც შედგეს.

პრემიერლიგაში თამაში უნდა დავიდ ტრეზეგესაც. წლეულს, ტრავმებით გაწამებული ფრანგი ზლატან იბრაჰიმოვიჩის ჩრდილში აშკარად მოექცა და, რა გასაკვირია, რომ „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

დავიდ ტრეზეგე: „ინგლისში სიამოვნებით ვითამაშებდი. მაგალითად, „არსენალში“, სადაც ჩემი მეგობარი ტიერი ანრია. ჩვენ ერთმანეთს ბრწყინვალედ ვუგებთ და საუბრისას არაერთხელ გაგვჩენია სურვილი, რომ კლუბშიც ერთად ვიყოთ. მჯერა, ეს ოდესმე მოხდება, მაგრამ როდის და სად, არ ვიცი. ესპანეთში თამაშზეც არ ვიტყოდი უარს. იტალიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იქაური პრიმერადივიზიონიც ძალიან მაღალი დონისაა“.

მოგეხსენებათ, ტრეზეგეს შეძენით ინგლისური კლუბების გარდა, „ვალენსია“ და „ბარსელონაც“ არიან დაინტერესებულნი. წარმოშობით არგენტინელი თავდამსხმელი თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებასაც არ გამორიცხავს.

„კარიერა „პლატენსეში“ დავიწყე და ვინ იცის, ეგებ იქ დავასრულო კიდეც, მაგრამ იქამდე ჯერ შორია. ასევე ძალიან მინდა, „რივერ პლეიტის“ რიგებში ვითამაშო, რადგანაც ბავშვობიდან „რივერის“ ფანი ვარ“ — დასძინა ბოლოს ტრეზეგემ.

**გიორგი ძაძამიძე**




**ინგლისური** „ნიუკასლი“ კირონ დაიერის ალან სმიტში გაცვლას აპირებს. როგორც ამბობენ, „კაჭკაჭთა“ თავკაცმა გრემ სუნესმა გუნდის კაპიტან ალან შირერს პირობა მისცა, რომ მომავალი სეზონიდან თავდასხმაში სწორედ სმიტს შეუწყვილებს. თავის მხრივ, დაიერის გუნდში ხილვა მუდამ სურს „მანჩესტერის“ მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონსაც. ასე რომ, შეთანხმება ეგებ მართლაც შედგეს.

**ჰოლანდიური** „აიაქსის“ მარჯვენა მცველი ჰატემ ტრაბელსი გუნდთან კონტრაქტის გახანგძლივებისგან თავს იკავებს. ტუნისელი იმედოვნებს, რომ უფრო ძლიერ გუნდში გადავა. მისით რამდენიმე გრანდია დაინტერესებული. ადრე ტრაბელსის შეძენას ლონდონური „არსენალი“ აპირებდა, მაგრამ ტრანსფერი მაშინ ჩაიშალა.

**ესპანური** „ბარსელონას“ ბრაზილიელი მცველი ედმილსონი მინდორს მალე დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ბოლო ექვსი თვე იგი მუხლს მკურნალობდა. კატალონიელთა ექიმები არ გამორიცხავენ, რომ ედმილსონმა პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ორ ტურში შეძლოს თამაში. მისი დაბრუნების სავარაუდო თარიღად 22 მაისი ანუ „ვილიარეალთან“ მატჩი სახელდება.

**ბელგიური** „ანდერლეხტის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფრენკი ვერკუტენი დატოვოს. მასთან ორწლიანი კონტრაქტი უკვე გაფორმდა. „ცხადია, კმაყოფილი ვარ. კლუბის უფროსობის პოლიტიკას ბოლომდე ვიზიარებ“ — თქვა 48 წლის ვერკუტენმა.

**იტალიური** „სიენას“ ნორვეგიელმა ფორვარდმა ტორე ანდრე ფლომ შესაძლოა, მომავალ ზაფხულს გუნდი დატოვოს. მისით რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული და ნისლიან ალბიონზე გადაბარგება თავად ფეხბურთელსაც სურს. არ არის გამორიცხული, ფლო სამშობლოშიც დაბრუნდეს და „ვოლერენგას“ შეუერთდეს. მისი აგენტის თქმით, 31 წლის თავდამსხმელი საბოლოო გადაწყვეტილებას სეზონის დასრულებისთანავე მიიღებს.

**ესპანური** „რეალის“ გენერალურმა მენეჯერმა არიგო საკიმ „ალკმაარის“ ერთბაშად ოთხ ფეხბურთელს დაადგა თვალი. მადრიდელები მთელი სეზონის მანძილზე ყურადღებით აკვირდებოდნენ ამ ჰოლანდიური კლუბის თამაშს და რამდენიმე ფეხბურთელიც მოსწონებიათ. საკიმ მიზანში დენი ლანძაატი, კენეტ პერესი, იან კრომკამპი და სტენ ჰიუსგემსი ამოიღო.

**გერმანული** „ბაიერნის“ ნახევარმცველმა ოუენ ჰარგრივსმა კიდევ ერთი განცხადება გააკეთა — პრემიერლიგაში თამაშის სურვილი კი მაქვს, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერიაო. „მიუნხენი ჩემთვის მეორე სამშობლოსავითაა. „ბაიერნთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს და მის შეწყვეტას ვაპირებ-მეთქი არ განმიცხადებია. ვინ იცის, იქნებ გავახანგრძლივოთ კიდეც“ — თქვა 24 წლის ჰარგრივსმა

**რუსული** „ლოკომოტივი“ მოლდოველი მეკარის, ევგენი ხმარუკის შეძენას აპირებს. მოსკოველთა წარმომადგენლები ბულგარული ცსკა-ს მატჩებს საგანგებოდ დაესწრებიან, რათა მას ახლოდან დააკვირდნენ და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღონ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხმარუკს აქამდე უკვე უთამაშია რუსულ კლუბებში: იგი „ჩერნომორეცსა“ და სანკტ პეტერბურგის „დინამოში“ ირიცხებოდა.

**ესპანური** „ვალენსიას“ უფროსობამ მარკო დი ვაიოს უფლება მისცა, კლუბთან ერთად ივარჯიშოს. შეგახსენებთ, გასულ უქმეებზე, „მალიორკასთან“ მატჩში, იგი მინდვრიდან მეორე ტაიმის ლებიუტში გაიყვანეს, რის მერეც დი ვაიომ უკმაყოფილება არ დაფარა და მწვრთნელთან შელაპარაკება მოუვიდა. ამის გამო იტალიელი გუნდიდან მოკვეთეს, მაგრამ 28 წლის თავდამსხმელმა თანაგუნდელებს და მწვრთნელს ბოდიში მეორე დღესვე მოუხადა და ახლა ისევ გუნდშია.

**პორტუგალიელი** ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ უკვე დაუფარავად ამბობს, კლუბის დატოვებაზე ვფიქრობო. „ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში აღარ მაყენებენ, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ. ჩემი აზრით, სულ ცოტა, კიდევ ორი სეზონის მაღალ დონეზე ჩატარება შემიძლია და ამას იმ კლუბში გავაკეთებ, სადაც საჭირო ვიქნები“ — განაცხადა 32 წლის რეალელმა.

**რუსული** „კრილია“ შესაძლოა, გაკოტრებულად გამოცხადდეს. სამარელთა პრეზიდენტ გერმან ტკაჩენკოს თქმით, თუ ვითარება 1 ივლისამდე არ შეიცვალა, იგი გუნდს ჩემპიონატიდან მოხსნის და ყველა ფეხბურთელს გაყიდის. საქმე ისაა, რომ „კრილიამ“ სერიოზული სპონსორის შოვნა აქამდე ვერ შეძლო, კლუბში ძალიან რთული ფინანსური ვითარებაა.

**გერმანული** „ვოლფსბურგი“ „პსვ ეინდჰოვენის“ დანიელი მცველით, კასპერ ბოგელუნდით დაინტერესდა. 24 წლის ფეხბურთელს თვალი ეინდჰოვენელთა ყოფილმა და „მგლების“ ამჟამინდელმა თავკაცმა ერიკ გერეტსმა დაადგა. პარალელურად, „ვოლფსბურგმა“ თავის პერსპექტიულ ნახევარმცველთან, 21 წლის სედრიკ მაკიადისთან 2007 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი.

**ინგლისურმა** „მანჩესტერ იუნაიტედმა“ უკვე ტრადიციად ქცეული აზიური ტურნეს დაგეგმვა დაიწყო. ჯერჯერობით მხოლოდ იაპონიაში ჩასვლის ამბავია გადაწყვეტილი: 28 ივლისს „წითელი ეშმაკები“ „კაშიმა ანთლერსს“ შეხვდებიან, ორი დღის შემდეგ კი „ურავა რედ დაიმონდს“.

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXIV ტური

**ჩელსი 0:0 არსენალი**

**ჩელსი:** ჩეხი, გ. ჯონსონი, ტერი, გალასი, რ. კარვალიუ, ჯ. კოული (ტიაგუ 79), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (კეჟმანი 85), დროგბა, გუდიონსენი (იაროშიკი 90)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**არსენალი:** ი. ლემანი, ლორენი, კ. ტურე, სენდეროსი, ეშლი კოული, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი (ალიადირი 81), ვიეირა, პირესი, ბერკამპი (ვან პერსი 78), რეიესი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ვიეირა, ჯ. კოული, პირესი, რეიესი
მსაჯი: ბენეტი
41 621 მაყურებელი

**ევერტონი 1:0 მანჩესტერი**

1:0 ფერგიუსონი (55)
**ევერტონი:** მარტინი, ჰიბერტი, იობო, ვეირი, ს. უოტსონი, კარსლი, მ. ბენტი (ოსმანი 76), არტეტა, ჩეჰილი (მაკფადენი 86), კილბეინი, დ. ფერგიუსონი (ბიტი 80)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვ. ბრაუნი (მ. სილვესტრი 72), ჰაინცე, ფლეტჩერი (ოში 76), როი კინი, სქოულზი, კ. რონალდო, ვან ნისტელროი, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: არტეტა, ფერგიუსონი, სქოულზი, ჰიბერტი, რონალდო, სქოულზი
გაძევება: ნევილი (72), სქოულზი (90)
მსაჯი: დოუდი
37 160 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:2 ლივერპული**

0:1 მორიენტესი (4), 1:1 კამარა (34), 1:2 ლუის გარსია (45)
**პორტსმუთი:** ეშდოუნი, ა. სისე, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი (პრიმუსი 46), მეთიუ ტეილორი, სტოუნი (ბერგერი 66), სკოპელიტისი, ბ. ჰიუზი, ონილი, დ. კამარა, ლუა ლუა (ფულერი 76)
მწვრთნელი: ალენ პერენი
**ლივერპული:** დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია (შმიცერი 46), ხაბი ალონსო, ბიშკანი (ჯერარდი 67), რიისე, მორიენტესი, ბაროში (ჯ. სისე 79)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ჰიუზი
მსაჯი: ვები
20 205 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:0 ჩარლტონი**

**ასტონ ვილა:** სორენსენი, დე ლა კრუზი, დილანი, ჯ. სამუელი, ბერი, სოლანო, ჰენდრი (ვასელი 72), სტივენ დევისი, ჰიცლშპერგერი, პ. ანხელი, ჯ. კოული (დ. მური 84)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
**ჩარლტონი:** კაილი, კიშიშევი, ჯ. ფორჩუნი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი (პერი 87), ჯ. იოჰანსონი, ს. ჰიუზი, მერფი, ჰოლანდი, რომედალი (იუელი 76), ჯეფერსი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ჯეფერსი
მსაჯი: ნაითი
31 312 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 გერა (24), 1:1 კინი (52)
**ტოტენჰემი:** პ. რობინსონი, ა. კელი, კინგი, დოუსონი, ედმანი (ატუბა 46), საიმონ დევისი, შ. დევისი (მიდო 46), კარიკი, ე. რიდი, დეფო (ციგლერი 75), რობი კინი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
**ვესტ ბრომვიჩი:** ჰოულტი, შიმეკა, გაარდსო, კლემენტი, პ. რობინსონი, გერა, რიჩარდსონი (ინამოტო 23), უოლვორკი, ჩეპლოუ, კანუ (ერნშოუ 83), კ. კემპბელი (ლ. მური 60)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: დოუსონი, რიდი
მსაჯი: ფოი
35 885 მაყურებელი

**ბლეკბერნი 1:0 კრ. პალასი**

1:0 პედერსენი (45)
**ბლეკბერნი:** ფრიდელი, ნაილი, ტოდი, ნელსენი, დ. მატეო, მოკოენა, ემერტონი, სევიჯი (თუგაი 46), ს. რიდი, მ. პედერსენი (დ. ტომპსონი 75), სტიდი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
**კრ. პალასი:** კირალი, ბატერფილდი (პოპოვიჩი 76), ჰალი, სორონდო, ბაროუდელი, რუტლეჯი, ლიგერტვუდი, დ. ჰიუზი, კოლკა (სუარესი 46), ენდრიუ ჯონსონი, ფრიდმანი (ტორშელე 60)
მწვრთნელი: იან დოუვი
გაფრთხილება: სევიჯი, რიდი, მოკოენა, სორონდო, ბატერფილდი
მსაჯი: უოლტონი
18 006 მაყურებელი

**ნორვიჩი 2:1 ნიუკასლი**

1:0 საფრი (68), 1:1 კლუივერტი (90), 2:1 ეშტონი (90)
**ნორვიჩი:** რ. გრინი, ჰელვეგი, ფლემინგი, შეკელი, დრური, ბენტლი (ჰოლტი 89), საფრი, ფრენსისი, ჰაკერბი (ენდი ჯონსონი 46), მაკკენზი (მ. სვენსონი 82), ეშტონი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
**ნიუკასლი:** გივენი, კარი, ბუმსონგი, ე. ობრაიენი, რ. ელიოტი, მილნერი (ამბროზი 63), ბათი, ნზოგბია, რობერი, შირერი, ამეობი (კლუივერტი 76)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
მსაჯი: მარინერი
25 503 მაყურებელი

**მანჩესტერ სითი 3:0 ბირმინგემი**

1:0 ტეილორი (55ს.კ.), 2:0 დანი (80), 3:0 სიბიერსკი (863)
**მანჩესტერ სითი:** ჯეიმსი, ონუა, რ. დანი, დისტინი, ჯორდანი, შ. რაიტ-ფილიპსი (კროფტი 90), ჯ. ბარტონი, კ. რეინა, მუსამპა, ფაულერი (ბ. რაიტ-ფილიპსი 81), სიბიერსკი
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, მელხიოტი, კანინგემი, აპსონი, კლეპამი (ლაზარიდისი 41), პენანტი, კარტერი, ანდერტონი (პანდიანი 76), კლემენსი (რ. ბლეიქი 66), ჰესკი, კ. მორისონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: მორისონი
მსაჯი: ატკინსონი
42 453 მაყურებელი

**ბოლტონი 1:1 საუთჰემპტონი**

1:0 იანაკოპულოსი (25), 1:1 ფილიპსი (69)
**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ბენ ჰაიმი, კანდელა (რ. გარდნერი 87), იერო, ნოლანი (კ. დევისი 65), ოკოჩა, სპიდი, იანაკოპულოსი (ჯაიდი 90), დიუფი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
**საუთჰემპტონი:** ნიემი, დელაპი, ლუნდეკვამი, იაკობსონი, ლე სო (ოკლი 46), ტელფერი, ქვოში, ა. სვენსონი (ნილსონი 80), ჰიგინბოთემი, კრუჩი, ფილიპსი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ბენ ჰაიმი, იანაკოპულოსი
მსაჯი: კლატენბურგი
25 125 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 ფულემი**

0:1 მაკბრაიდი (82), 1:1 ზენდენი (903)
**მიდლსბრო:** მ. ჯოუნსი, კუპერი (კენედი 86), საუთგეიტი, ეჰიოგუ, კედრუ, პარლოუ, ბოატენგი, ზენდენი, დაუნინგი, ჰასელბაინკი, ნემეტი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
**ფულემი:** ვან დერ სარი, როსენიორი, ნაითი, გომა, ვოლცი, პემბრიჯი, რაძინსკი, კლარკი, ბოა მორტე, კ. ჯონი (მალბრანკი 82), ბ. მაკბრაიდი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: საუთგეიტი
მსაჯი: სტაილზი
30 650 მაყურებელი

# ჩელსი არაოფიციალური ჩემპიონია

## ასე ვიცით შოტლანდიელებმა



ჯო კოულის „ჩელსი“ პატრიკ ვიეირას „არსენალისთვის“ მიუწვდომელია

**პრემიერლიგის** დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე არსენ ვენგერმა ჟოზე მაურინიუს ჩემპიონობა მიულოცა. ახლა „ჩელსის“ დარჩენილ მატჩებში ოთხი ქულაა უნდა, რომ პირველობა ოფიციალურად გაიფორმოს.

„ვულოცავ „ჩელსის“ — თქვა ვენგერმა — სამართლიანად დაიმსახურა ეს ჯილდო. მისი ჩემპიონობა ამ მატჩის შემდეგ გადაწყდა. ეს თამაში რომ მოგვეგო, მაინც ვერ გადავასწრებდით ცხრილში, მაგრამ მსურდა, ჩვენს შორის ქულათა სხვაობა მაქსიმალურად შემცირებულიყო“.

„არსენალს“ ათი წელია „სტემფორდ ბრიჯზე“ არ წაუგია და „ჩელსიმ“ ამჯერადაც ვერ მოახერხა თანაქალაქელთა დამარცხება.

მესამე წუთზევე რობერ პირესის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, ფრანგს ამის შემდეგაც ჰქონდა კარგი მომენტი, თუმცააცილა. „ჩელსიც“ გულიანად უტევდა მეტოქეს და იენს ლემანმა რამდენჯერმე გამოაძრო ბურთი კარიდან. თავის მხრივ, დიდიე დროგბას და ფრენკ ლამპარდს შეეძლოთ გატანა, მაგრამ ლონდონურ დერბის უგოლოდ დასრულება ეწერა.

თუ ათი წელია, „ჩელსი“ „არსენალს“ ვერ უგებს, „ევერტონმა“ ეს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მოახერხა და ათწლიანი ლოდინის შემდეგ მეტოქე „გუდისონ პარკზე“ დაამარცხა.

პრემიერლიგის ყველაზე მაღალმა და მძიმე გუნდმა (ასე უწოდა მას ჟოზე მაურინიუმ), მატჩში ჯიგარი ჩააქსოვა და დანკან ფერგიუსონის ულამაზესი გოლით ალექს ფერგიუსონის სამწყსოს მოუგო.

ლამაზი გოლის გარდა იყო წიხლაობა, ბარძაყებში ქაცვების ჩარტყმა, იდაყვების ქნევა და ორი გაძევება.

გარი ნევილმა გვერდით ხაზთან ბურთს ფეხი მიჰკრა და ქომაგს გაარტყა, რაც მსაჯმა დაინახა და უმალ წითელი ბარათი აუფრიალა.

შემდეგ პოლ სქოულზმა მიიღო მეორე ყვითელი ბარათი, რადგან კევინ კილბეინს ფეხებში უკნიდან შემოსცხო და ისიც ნევილის გზას გაუყენეს.

მოედანზე გაჩაღებული „ცეცხლი“ მწვრთნელებსაც გადაედოთ. ალექს ფერგიუსონმა კოლეგა დევიდ მოიესს რაღაცეები მიაძახა და მოიესმაც ხურდა დაუბრუნა.

ნამატჩევს „ევერტონის“ მწვრთნელმა თქვა: „ეს მხოლოდ სქოთური მასხარაობა იყო. აი, ასე იქცევიან შოტლანდიელი მწვრთნელები“. რაც შეეხება მატჩს, მოიესმა შემდეგი განაცხადა: „ასეთი გულშემატკივრობა აქამდე არ მინახავს. ჩვენ სამი ქულა ავიღეთ და მეოთხე ადგილზე ვართ, რაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გაგვიყვანს“.

სერ ალექს ფერგიუსონმა გარი ნევილს საქციელი დაუწუნა, გულშემატკივრისთვის ბურთი არ უნდა ესროლაო, ხოლო პოლ სქოულზის გაძევება მსაჯის სისუსტეს დააბრალა, მასპინძელთა გავლენის ქვეშ მოექცაო.

ასოციაციის თასის ნახევარფინალში მარცხის შემდეგ „ბლექბერნმა“ „კრისტალ პალასს“ მორტენ პედერსენის გოლით სძლია და მეთორმეტე ადგილზე აინაცვლა.

ცხრილის ბოლოში მოკალათებულ „ნორვიჩს“ კი მადა ჩემპიონატის დასასრულს გაეხსნა: ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო, ახლა კი ზედ „ნიუკასლიც“ მიაყოლა, რომელიც აშკარად არეულია.

„ლივერპულმა“ პორტსმუთში ფერნანდო მორიენტესისა და ლუის გარსიას გოლებით იმარჯვა, ხოლო „მანჩესტერ სითიმ“ ახალი მწვრთნელის, სტიუარტ პირსის ხელქვეით მეორე საშინაო თამაში მოიგო.

**მაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 33 | 25 | 7 | 1 | 62:12 | 50 | 82 | 17 | 12 | 5 | 0 | 31:5 | 26 | 41 | 16 | 13 | 2 | 1 | 31:7 | 24 | 41 |
| 2 არსენალი | 33 | 21 | 8 | 4 | 73:33 | 40 | 71 | 16 | 10 | 5 | 1 | 43:18 | 25 | 35 | 17 | 11 | 3 | 3 | 30:15 | 15 | 36 |
| 3 მანჩესტერი | 33 | 19 | 10 | 4 | 48:20 | 28 | 67 | 16 | 11 | 5 | 0 | 27:7 | 20 | 38 | 17 | 8 | 5 | 4 | 21:13 | 8 | 29 |
| 4 ევერტონი | 33 | 17 | 6 | 10 | 40:33 | 7 | 57 | 17 | 11 | 1 | 5 | 21:14 | 7 | 34 | 16 | 6 | 5 | 5 | 19:19 | 0 | 23 |
| 5 ლივერპული | 34 | 16 | 6 | 12 | 48:35 | 13 | 54 | 17 | 11 | 3 | 3 | 28:13 | 15 | 36 | 17 | 5 | 3 | 9 | 20:22 | -2 | 18 |
| 6 ბოლტონი | 34 | 15 | 8 | 11 | 44:38 | 6 | 53 | 17 | 8 | 5 | 4 | 22:14 | 8 | 29 | 17 | 7 | 3 | 7 | 22:24 | -2 | 24 |
| 7 ტოტენჰემი | 34 | 13 | 9 | 12 | 42:38 | 4 | 48 | 17 | 8 | 4 | 5 | 31:21 | 10 | 28 | 17 | 5 | 5 | 7 | 11:17 | -6 | 20 |
| 8 მიდლსბრო | 33 | 12 | 10 | 11 | 46:44 | 2 | 46 | 17 | 7 | 6 | 4 | 24:19 | 5 | 27 | 16 | 5 | 4 | 7 | 22:25 | -3 | 19 |
| 9 ასტონ ვილა | 34 | 12 | 10 | 12 | 41:42 | -1 | 46 | 17 | 8 | 5 | 4 | 24:14 | 10 | 29 | 17 | 4 | 5 | 8 | 17:28 | -11 | 17 |
| 10 ჩარლტონი | 34 | 12 | 9 | 13 | 40:50 | -10 | 45 | 17 | 8 | 3 | 6 | 27:23 | 4 | 27 | 17 | 4 | 6 | 7 | 13:27 | -14 | 18 |
| 11 სითი | 34 | 11 | 11 | 12 | 42:37 | 5 | 44 | 17 | 7 | 5 | 5 | 21:13 | 8 | 26 | 17 | 4 | 6 | 7 | 21:24 | -3 | 18 |
| 12 ბლექბერნი | 33 | 9 | 12 | 12 | 29:37 | -8 | 39 | 17 | 5 | 7 | 5 | 20:19 | 1 | 22 | 16 | 4 | 5 | 7 | 9:18 | -9 | 17 |
| 13 ბირმინგემი | 34 | 9 | 11 | 14 | 35:42 | -7 | 38 | 17 | 6 | 6 | 5 | 20:13 | 7 | 24 | 17 | 3 | 5 | 9 | 15:29 | -14 | 14 |
| 14 ნიუკასლი | 32 | 9 | 11 | 12 | 42:51 | -9 | 38 | 16 | 7 | 4 | 5 | 24:24 | 0 | 25 | 16 | 2 | 7 | 7 | 18:27 | -9 | 13 |
| 15 ფულემი | 33 | 9 | 8 | 16 | 39:53 | -14 | 35 | 16 | 6 | 4 | 6 | 20:23 | -3 | 22 | 17 | 3 | 4 | 10 | 19:30 | -11 | 13 |
| 16 პორტსმუთი | 34 | 9 | 8 | 17 | 38:53 | -15 | 35 | 17 | 7 | 3 | 7 | 25:24 | 1 | 24 | 17 | 2 | 5 | 10 | 13:29 | -16 | 11 |
| 17 ვესტ ბრომვიჩი | 33 | 5 | 14 | 14 | 32:53 | -21 | 29 | 16 | 4 | 7 | 5 | 14:21 | -7 | 19 | 17 | 1 | 7 | 9 | 18:32 | -14 | 10 |
| 18 საუთჰემპტონი | 34 | 5 | 13 | 16 | 37:55 | -18 | 28 | 17 | 4 | 9 | 4 | 25:25 | 0 | 21 | 17 | 1 | 4 | 12 | 12:30 | -18 | 7 |
| 19 კრ. პალასი | 34 | 6 | 9 | 19 | 36:58 | -22 | 27 | 17 | 5 | 4 | 8 | 18:17 | 1 | 19 | 17 | 1 | 5 | 11 | 18:41 | -23 | 8 |
| 20 ნორვიჩი | 34 | 5 | 12 | 17 | 37:67 | -30 | 27 | 17 | 5 | 5 | 7 | 27:32 | -5 | 20 | 17 | 0 | 7 | 10 | 10:35 | -25 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 25 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 19 |
| დეფო (ტოტენჰემი) | 13 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 11 |
| ენდი კოული (ფულემი) | 11 |
| აიეგბენი (პორტსმუთი) | 11 |
| პირესი (არსენალი) | 11 |
| რობი კინი (ტოტენჰემი) | 11 |

**XXXV ტური**
23-24 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ტოტენჰემი |
| პორტსმუთი | : | საუთჰემპტონი |
| ასტონ ვილა | : | ბოლტონი |
| ბლექბერნი | : | სითი |
| ჩელსი | : | ფულემი |
| კრ. პალასი | : | ლივერპული |
| ევერტონი | : | ბირმინგემი |
| მანჩესტერი | : | ნიუკასლი |
| მიდლსბრო | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ნორვიჩი | : | ჩარლტონი |

## იტალია

**სერია A. XXXII ტური**

**მილანი 1:0 კიევო**

1:0 ზეედორფი (64)
**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი (კალაძე 78), გატუზო, ზეედორფი, სერჟინიო, კაკა, შევჩენკო (ბროკი 86), კრესპო (ტომასონი 74)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**კიევო:** მარკეჯანი, ფ. მორო, მანდელლი, დანა, ს. ლანა, ძანკეტა, ბრიგი, ბარონიო (ლუსიანო 62), დ. ფრანჩესკინი (სემიოლი 73), მარკეზეტი (ამაური 53), პელისიერი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: გატუზო, ბრიგი, ლანა, დანა
მსაჯი: პაპარესტა
55 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 0:1 ინტერი**

0:1 კრუზი (24)
**იუვენტუსი:** ბუფონი, ბირინდელი (მაზიელო 55), ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი (ბლაზი 53), აპია, ნედვედი, დელ პიერო (ზალაიეტა 70), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
**ინტერი:** ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ზე მარია, კ. ძანეტი, კამბიასო, კილი გონსალესი (დ. სტანკოვიჩი 78), ხ. კრუზი (ვიერი 75), ო. მარტინსი (კარაგუნისი 90)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, ფავალი, კორდობა, აპია, კამბიასო, კ. ძანეტი, ნედვედი
მსაჯი: დე სანტისი
25 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:1 ლივორნო**

1:0 მაური (8), 1:1 კ. ლუკარელი (85)
**უდინეზე:** დე სანქტისი, ბერტოტო, ფელიპე, ბელერი, დ. ძენონი, პინცი (მაზინცა 70), დ. პიზარო (მუნტარი 74), მაური, იაკვინტა (პიერი 82), დი მიკელე, ფავა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
**ლივორნო:** ამელია, ვიდიგალი, ა. ლუკარელი, გალანტე, ოსეი (კოლომბო 54), მელარა, ლიჩკა, ბალერი, ჯალლომბარდო (დოგა 71), დანილევიჩუსი (კ. ლუკარელი 65), ფიჯანი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: დანილევიჩუსი, მელარა, პინცი, მუნტარი
მსაჯი: პალანკა
14 000 მაყურებელი

**პარმა 1:1 სამპდორია**

0:1 გასბარონი (35), 1:1 ჯილარდინო (39)
**პარმა:** ს. ფრეი, ბონერა, კარდონე, კონტინი, ბეტარინი (მ. კანავარო 2), პიზანუ (ზ. კამარა 87), სიმპლისიო, ბოლანო (ვინიაროლი 76), ბრეშიანო, მორფეო, ჯილარდინო
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
**სამპდორია:** ანტონიოლი, კ. ძენონი, საკეტი, პავანი, მ. პიზანო, გასბარონი (პალომბო 89), ედუსეი, ვოლპი, ტონეტო (დონი 61), კუტუზოვი (დიანა 69), როსინი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კარდონე, საკეტი, პავანი, ძენონი, კუტუზოვი
მსაჯი: კოლინა
23 000 მაყურებელი

**რომა 0:2 სიენა**

0:1 მაკარონე (60), 0:2 კიეზა (88)
**რომა:** კურჩი, მექსეში, მ. ფერარი (აკილანი 80), კივუ, მანცინი (კორვია 80), დაკური, პეროტა (ა. კასანო 67), დე როსი, პანუჩი, ტოტი, მონტელა
მწვრთნელი: ბრუნო კონტი
**სიენა:** მანინგერი, მინანი, კოლონეზე (მორტანოვა 73), ჩირილო, ფალზინი, ალბერტო (ფოიო 80), დავერსა, ტუდორი, ვერგასოლა, კოვიენტო (კიეზა 58), მაკარონე

# სიყვარულის მილანიუმი

## ინტერმა მილანს იუვე დაუმარცხა



იუვენტუსი — ინტერი. ხულიო კრუზის ერთადერთმა გოლმა პაველ ნედვედი და მისი გუნდი დაამწუხრა

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ალბერტო, პანუჩი, კოლონეზე, მექსეში, ტოტი, მანინგერი, ტოტი, კოლონეზე, ტუდორი
გაძევება: ტოტი (64), კოლონეზე (64)
მსაჯი: დონდარინი
40 000 მაყურებელი

**კალიარი 1:1 ლაციო**

1:0 ესპოზიტო (70), 1:1 სივილია (90)
**კალიარი:** იეცო, დ. ლოპესი, ბეგა, ლორია, აგოსტინი, კონტი, ბუდელი, გობი, ხ. ალვარესი (ბიანკი 60), მ. ესპოზიტო (აბეიხონი 88), ლანგელა
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
**ლაციო:** პერუცი, ოდო, ჯანიკედა, სივილია, ძაური, ა. ფილიპინი, დაბო, ე. ფილიპინი, სეზარი (ლივერანი 65), დი კანიო (ბაცანი 54), როკი
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: ჯანიკედა, ლანგელა, კონტი
მსაჯი: ბრიგი
14 000 მაყურებელი

**პალერმო 3:3 ბრეშა**

| 10201 | ლაციო-იუვენტუსი | 3.9 | 2.0 | 2.45 | 1.32 | 1.5 | 1.1 |
| 10202 | ლივორნო-ლეჩე | 2.4 | 2.0 | 3.9 | 1.09 | 1.48 | 1.32 |
| 10203 | მესინა-ინტერი | 4.3 | 2.0 | 2.35 | 1.36 | 1.51 | 1.08 |
| 10205 | მილანი-პარმა | 1.5 | 2.7 | 6.5 | 1.0 | 1.21 | 1.9 |
| 10207 | სამპდორია-რომა | 2.35 | 2.0 | 4.3 | 1.08 | 1.51 | 1.36 |
| 10208 | სიენა-უდინეზე | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10258 | ბილბაო-სევილია | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |
| 10259 | ბეტისი-სოსიედადი | 2.0 | 2.1 | 5.2 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10260 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10261 | ხეტაფე-ლევანტე | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10262 | დეპორტივო-რასინგი | 1.8 | 2.3 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.6 |
| 10263 | მალაგა-ბარსელონა | 5.2 | 2.1 | 2.0 | 1.49 | 1.44 | 1.02 |
| 10265 | ნუმანსია-მალიორკა | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 10266 | ოსასუნა-ატლეტიკო | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10267 | რეალი-ვილიარეალი | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |
| 10268 | ვალენსია-ალბასეტე | 1.55 | 2.6 | 6.5 | 1.0 | 1.25 | 1.85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11011 | ჩელსი-ფულჰემი | 1.45 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 10.0 | 11.0 | 11.0 |
| 11013 | კრისტალ პალასი-ლივერპული | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11015 | ევერტონი-ბირმინგემი | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11017 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11018 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11019 | ბლექბერნი-სიტი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11020 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11021 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11022 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.5 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11024 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.9 | 10.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11103 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11104 | მაინცი-ჰანოვერი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11105 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.5 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11107 | არმინია-ფრაიბურგი | 1.9 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11108 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11109 | ჰამბურგი-ჰანზა | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11111 | ჰერტა-შალკე | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11112 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11113 | ნიურნბერგი-მენხენგლადბახი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11196 | ატალანტა-პალერმო | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11198 | ბოლონია-ფიორენტინა | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11199 | ბრეშა-რეჯინა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11200 | კიევო-კალიარი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11201 | ლაციო-იუვენტუსი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11202 | ლივორნო-ლეჩე | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11203 | მესინა-ინტერი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11205 | მილანი-პარმა | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11207 | სამპდორია-რომა | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11208 | სიენა-უდინეზე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11258 | ბილბაო-სევილია | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11259 | ბეტისი-სოსიედადი | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11260 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11261 | ხეტაფე-ლევანტე | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11262 | დეპორტივო-რასინგი | 2.1 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11263 | მალაგა-ბარსელონა | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.1 |
| 11265 | ნუმანსია-მალიორკა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11266 | ოსასუნა-ატლეტიკო | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11267 | რეალი-ვილიარეალი | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11268 | ვალენსია-ალბასეტე | 1.5 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13011 | ჩელსი-ფულჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13013 | კრისტალ პალასი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13015 | ევერტონი-ბირმინგემი | 1.7 | 1.9 |
| 13017 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13018 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13019 | ბლექბერნი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13020 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13021 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 13022 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13024 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13103 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.6 | 2.0 |
| 13104 | მაინცი-ჰანოვერი | 1.6 | 2.0 |
| 13105 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.7 | 1.9 |
| 13107 | არმინია-ფრაიბურგი | 1.6 | 2.0 |
| 13108 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 1.6 | 2.0 |
| 13109 | ჰამბურგი-ჰანზა | 1.6 | 2.0 |
| 13111 | ჰერტა-შალკე | 1.6 | 2.0 |
| 13112 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.6 | 2.0 |
| 13113 | ნიურნბერგი-მენხენგლადბახი | 1.6 | 2.0 |
| 13196 | ატალანტა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13198 | ბოლონია-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13199 | ბრეშა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 13200 | კიევო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13201 | ლაციო-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 13202 | ლივორნო-ლეჩე | 1.7 | 1.9 |
| 13203 | მესინა-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 13205 | მილანი-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13207 | სამპდორია-რომა | 1.7 | 1.9 |
| 13208 | სიენა-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 13258 | ბილბაო-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 13259 | ბეტისი-სოსიედადი | 1.6 | 2.0 |
| 13260 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13261 | ხეტაფე-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 13262 | დეპორტივო-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 13263 | მალაგა-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13265 | ნუმანსია-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 13266 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |
| 13267 | რეალი-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13268 | ვალენსია-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12011 | ჩელსი-ფულჰემი | 1.9 | 1.7 |
| 12013 | კრისტალ პალასი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12015 | ევერტონი-ბირმინგემი | 1.6 | 2.0 |
| 12017 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12018 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12019 | ბლექბერნი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12020 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12021 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 12022 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.2 | 1.6 |
| 12024 | არსენალი-ტოტენჰემი | 2.0 | 1.6 |
| 12103 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12104 | მაინცი-ჰანოვერი | 1.9 | 1.7 |
| 12105 | ბაიერნი-ბოხუმი | 2.4 | 1.5 |
| 12107 | არმინია-ფრაიბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12108 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 2.0 | 1.6 |
| 12109 | ჰამბურგი-ჰანზა | 2.2 | 1.55 |
| 12111 | ჰერტა-შალკე | 2.0 | 1.6 |
| 12112 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2.0 | 1.6 |
| 12113 | ნიურნბერგი-მენხენგლადბახი | 1.9 | 1.7 |
| 12196 | ატალანტა-პალერმო | 1.6 | 2.0 |
| 12198 | ბოლონია-ფიორენტინა | 1.6 | 2.0 |
| 12199 | ბრეშა-რეჯინა | 1.55 | 2.1 |
| 12200 | კიევო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 12201 | ლაციო-იუვენტუსი | 1.6 | 2.0 |
| 12202 | ლივორნო-ლეჩე | 1.7 | 1.9 |
| 12203 | მესინა-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 12205 | მილანი-პარმა | 1.9 | 1.7 |
| 12207 | სამპდორია-რომა | 1.7 | 1.9 |
| 12208 | სიენა-უდინეზე | 1.6 | 2.0 |
| 12258 | ბილბაო-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 12259 | ბეტისი-სოსიედადი | 1.9 | 1.7 |
| 12260 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12261 | ხეტაფე-ლევანტე | 1.6 | 2.0 |
| 12262 | დეპორტივო-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 12263 | მალაგა-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 12265 | ნუმანსია-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 12266 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.6 | 2.0 |
| 12267 | რეალი-ვილიარეალი | 1.9 | 1.7 |
| 12268 | ვალენსია-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14011 | ჩელსი-ფულჰემი | 1.05 | 2.9 |
| 14013 | კრისტალ პალასი-ლივერპული | 2.2 | 1.7 |
| 14015 | ევერტონი-ბირმინგემი | 1.45 | 2.4 |
| 14017 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.65 | 2.3 |
| 14018 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.8 | 2.0 |
| 14019 | ბლექბერნი-სიტი | 1.8 | 2.0 |
| 14020 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 1.8 | 2.0 |
| 14021 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 1.75 | 2.1 |
| 14022 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.15 | 2.6 |
| 14024 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.3 | 2.5 |
| 14103 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.3 | 2.5 |
| 14104 | მაინცი-ჰანოვერი | 1.7 | 2.2 |
| 14105 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.08 | 2.9 |
| 14107 | არმინია-ფრაიბურგი | 1.3 | 2.5 |
| 14108 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 1.35 | 2.45 |
| 14109 | ჰამბურგი-ჰანზა | 1.3 | 2.5 |
| 14111 | ჰერტა-შალკე | 1.8 | 2.0 |
| 14112 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 14113 | ნიურნბერგი-მენხენგლადბახი | 1.8 | 2.0 |
| 14196 | ატალანტა-პალერმო | 1.9 | 1.9 |
| 14198 | ბოლონია-ფიორენტინა | 1.7 | 2.1 |
| 14199 | ბრეშა-რეჯინა | 1.75 | 2.1 |
| 14200 | კიევო-კალიარი | 1.7 | 2.2 |
| 14201 | ლაციო-იუვენტუსი | 2.1 | 1.75 |
| 14202 | ლივორნო-ლეჩე | 1.7 | 2.2 |
| 14203 | მესინა-ინტერი | 2.2 | 1.7 |
| 14205 | მილანი-პარმა | 1.07 | 2.9 |
| 14207 | სამპდორია-რომა | 1.7 | 2.2 |
| 14208 | სიენა-უდინეზე | 1.9 | 1.9 |
| 14258 | ბილბაო-სევილია | 1.8 | 2.0 |
| 14259 | ბეტისი-სოსიედადი | 1.45 | 2.4 |
| 14260 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.7 | 2.2 |
| 14261 | ხეტაფე-ლევანტე | 1.75 | 2.1 |
| 14262 | დეპორტივო-რასინგი | 1.3 | 2.5 |
| 14263 | მალაგა-ბარსელონა | 2.3 | 1.3 |
| 14265 | ნუმანსია-მალიორკა | 1.8 | 2.0 |
| 14266 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 14267 | რეალი-ვილიარეალი | 1.3 | 2.5 |
| 14268 | ვალენსია-ალბასეტე | 1.2 | 2.6 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17011 | ჩელსი-ფულჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | კრისტალ პალასი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ევერტონი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17017 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ბლექბერნი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | მაინცი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | არმინია-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ჰამბურგი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17111 | ჰერტა-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17112 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17113 | ნიურნბერგი-მენხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17196 | ატალანტა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17198 | ბოლონია-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17199 | ბრეშა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17200 | კიევო-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17201 | ლაციო-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17202 | ლივორნო-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17203 | მესინა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17205 | მილანი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17207 | სამპდორია-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17208 | სიენა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17258 | ბილბაო-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17259 | ბეტისი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17260 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17261 | ხეტაფე-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17262 | დეპორტივო-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17263 | მალაგა-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17265 | ნუმანსია-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17266 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17267 | რეალი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17268 | ვალენსია-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16011 | ჩელსი-ფულჰემი | 1.04 | 5.5 |
| 16013 | კრისტალ პალასი-ლივერპული | 2.05 | 1.45 |
| 16015 | ევერტონი-ბირმინგემი | 1.25 | 3.2 |
| 16017 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.3 | 2.6 |
| 16018 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.45 | 2.3 |
| 16019 | ბლექბერნი-სიტი | 1.45 | 2.3 |
| 16020 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 1.5 | 2.2 |
| 16021 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 1.45 | 2.3 |
| 16022 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.08 | 5.0 |
| 16024 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.15 | 3.2 |
| 16103 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.15 | 3.8 |
| 16104 | მაინცი-ჰანოვერი | 1.4 | 2.4 |
| 16105 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.05 | 5.5 |
| 16107 | არმინია-ფრაიბურგი | 1.2 | 3.2 |
| 16108 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 1.25 | 3.1 |
| 16109 | ჰამბურგი-ჰანზა | 1.2 | 3.2 |
| 16111 | ჰერტა-შალკე | 1.5 | 2.2 |
| 16112 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.55 | 2.1 |
| 16113 | ნიურნბერგი-მენხენგლადბახი | 1.55 | 2.1 |
| 16196 | ატალანტა-პალერმო | 1.55 | 2.05 |
| 16198 | ბოლონია-ფიორენტინა | 1.45 | 2.3 |
| 16199 | ბრეშა-რეჯინა | 1.45 | 2.3 |
| 16200 | კიევო-კალიარი | 1.4 | 2.35 |
| 16201 | ლაციო-იუვენტუსი | 2.1 | 1.5 |
| 16202 | ლივორნო-ლეჩე | 1.4 | 2.3 |
| 16203 | მესინა-ინტერი | 2.1 | 1.5 |
| 16205 | მილანი-პარმა | 1.03 | 5.0 |
| 16207 | სამპდორია-რომა | 1.35 | 2.5 |
| 16208 | სიენა-უდინეზე | 1.55 | 2.05 |
| 16258 | ბილბაო-სევილია | 1.5 | 2.2 |
| 16259 | ბეტისი-სოსიედადი | 1.25 | 3.1 |
| 16260 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.4 | 2.4 |
| 16261 | ხეტაფე-ლევანტე | 1.45 | 2.3 |
| 16262 | დეპორტივო-რასინგი | 1.2 | 3.2 |
| 16263 | მალაგა-ბარსელონა | 2.9 | 1.25 |
| 16265 | ნუმანსია-მალიორკა | 1.5 | 2.2 |
| 16266 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.55 | 2.1 |
| 16267 | რეალი-ვილიარეალი | 1.2 | 3.2 |
| 16268 | ვალენსია-ალბასეტე | 1.12 | 3.8 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15011 | ჩელსი-ფულჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15013 | კრისტალ პალასი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15015 | ევერტონი-ბირმინგემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15017 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15018 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15019 | ბლექბერნი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15020 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15021 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15022 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15024 | არსენალი-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15104 | მაინცი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15105 | ბაიერნი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15107 | არმინია-ფრაიბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15108 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15109 | ჰამბურგი-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15111 | ჰერტა-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15112 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15113 | ნიურნბერგი-მენხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15196 | ატალანტა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15198 | ბოლონია-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15199 | ბრეშა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15200 | კიევო-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15201 | ლაციო-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15202 | ლივორნო-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15203 | მესინა-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15205 | მილანი-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 | სამპდორია-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15208 | სიენა-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15258 | ბილბაო-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15259 | ბეტისი-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15260 | ესპანიოლი-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15261 | ხეტაფე-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15262 | დეპორტივო-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15263 | მალაგა-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15265 | ნუმანსია-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15266 | ოსასუნა-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15267 | რეალი-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15268 | ვალენსია-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი. ბოლო დღე

# ვარსკვლავი ჩაქრა

## კარტერმა ჯეიმსს ოცნება მოპარა







— 20 აპრილი —

**ბოსტონი 93:102 ნიუ ჯერსი**

ბოსტონი: პირსი (21), ვესტი (15)

ნიუ ჯერსი: კარტერი (37), კიდი (19 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), კრსტიჩი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**ტორონტო 95:104 კლივლენდი**

ტორონტო: როუზი (25), კუკი (19), პიტერსონი (16)

კლივლენდი: ჯეიმსი (27 ქულა, 14 მოხსნა, 14 პასი), ნიუბლი (20), ილგაუსკასი (20)

**ლებრონ ჯეიმსი**, ეს ლამის სკოლის მოსწავლის ასაკის სუპერვარსკვლავი, ეს მომავალი მეჯიქ ჯონსონი და ნბა-ს შემაზანზარებელი, ორი წელია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას „აჰ-ს“ და „ოჰ-ს“ რომ აკვნესებს, ეს მფრინავი მტაცებელი კვლავ პლეი ოფის გარეშე რჩება.

ბოლო შეხვედრაც გადასარევად ჩაატარა ლებრონმა, „ტორონტოში“ იქაურ „რეპტორზთან“ სამმაგი დუბლი შეასრულა და თავის „კავალიერზს“ რეგულარული სეზონის 42-ე გამარჯვება ჩაუწერა, მაგრამ პლეი ოფში გასვლა-არგასვლის საკითხი მხოლოდ მასზე არ იყო დამოკიდებული. ჯეიმსი რომ კანადაში „დინოზავრებს“ არბევდა, ბოსტონში ვინს კარტერის და ჯეისონ კიდის „ნიუ ჯერსი ნეთსი“ „სელტიქსს“ ამარცხებდა და ყველაფერიც ამ მეორე მატჩში გადაწყდა. „კლივლენდის“ დარად, „ნიუ ჯერსიმაც“ 42-ე მატჩი მოიგო და ურთიერთშეხვედრებში უპირატესობის ხარჯზე ლებრონიანები მშრალზე დატოვა.

„ბოსტონში თამაში ადრე დაიწყო — გულამოსკვნილი ყვება ჯეიმსი — ჩვენ რომ პირველი ქულები ჩავაგდეთ, „ბოსტონი“ 17-ით უგებდა „ნიუ ჯერსის“ და ჩვენც ალმაფრენით ვთამაშობდით... მაგრამ იქიდან სულ უფრო და უფრო ცუდი ამბები მოდიოდა, „ნიუ ჯერსიმ“ ჯერ ათ ქულამდე შეამცირა სხვაობა, შემდეგ ხუთამდე, ოთხამდე... ეჰ...“

ბოსტონში მართლაც დიდი ამბები დატრიალდა. „ნიუ ჯერსის“ მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, მაგრამ პირველი წუთები ამ გუნდს კარგს არას უქადდა. შეხვედრა ხუთი წუთის დაწყებულიც არ იყო, რომ მასპინძელმა ანტუან უოლკერმა ნიუჯერსელთა მთავარმექულე ვინს კარტერს ვერაგულად ამოსცხო მუხლი და ეს უკანასკნელი ლამის სახეჩამომტირალი წალასლასდა გასახდელში. ამასობაში კი მისიანები მეორე მეოთხედში 18 ქულით ჩამორჩნენ მეტოქეს. ნიუ ჯერსიში „ნეთსის“ ქომაგებმა თავში ხელი შემოიკრეს, ახლა კი ველარაფერი გვიშველისო, მაგრამ ისევ ვინს კარტერმა უშველათ. თურმე ეს ოხერი თვათმაქცობდა, ისეც არ დაშავებულა, ამ ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო თამაშს გამოთიშულიყო. მესამე მეოთხედიდან ყურებამდე გაღიმებული გავიდა მოედანზე და ისეთი ამბები დაატრიალა, ტორონტოში ოფლმოდენილ კლივლენდელებს ჭირის ოფლმა დაასხა. ამ 12-წუთეულში 15 ქულა ჩააგდო მაშინ, როდესაც მთელმა „ბოსტონმა“ სულ რაღაც 8 შეკოწიწა. „ნიუ ჯერსიმაც“ „სელტიქსი“ მესამე მეოთხედში 32:8 გაანადგურა, 13 ქულით დაწინაურდა და ბოლო წამებამდე აღარც დაუთმია ლიდერობა.

„ისეც არ დავმტვრეულვარ, რომ ჩემიანებისთვის მეღალატა. უბრალოდ, ვიცოდი, რომ კლივლენდელებს იქ გულები უსკდებოდათ ჩვენი თამაშის დამთავრების მოლოდინში და მეც დრამატულობა შემოვიტანე ამ შეხვედრაში“ — ასე ღლაბუცობდა კარტერი ნამატჩევს.

მაშ ასე, „ნიუ ჯერსი“ ზედიზედ მეოთხედ გავიდა პლეი ოფში და „კლივლენდი“ ზედიზედ მეშვიდედ დატოვა უპლეიოფოდ. კარტერს გუნდი ალბათ არც იქ შეირცხვენს თავს, მიუხედავად იმისა, რომ პირველ წრეში გოროზი შაკილ ონილის „მაიამის“ შეეჯახა. რაც შეეხება „კლივლენდს“, ამ გუნდის შეფებს ცხელი ზაფხული ექნებათ, ალბათ გაუშვებენ მეტს თუ არა, გუნდის ნახევარს მაინც და დედამიწის გულამდე ჩავლენ ლებრონ ჯეიმსისთვის ხეირიანი მწვრთნელის ძებნაში.

### ძოტე ყორშია

**გოლდენ სტეიტი 106:89 იუტა**

გოლდენ სტეიტი: ცქიტიშვილი (9 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა)

**ფილადელფია 110:86 ატლანტა**

**შარლოტი 97:86 დეტროიტი**

**ორლანდო 93:98 მაიამი**

**ნიუ იორკი 113:105 ვაშინგტონი**

**ინდიანა 85:83 ჩიკაგო**

**მემფისი 88:108 დალასი**

**ნიუ ორლეანი 75:86 კლიპერსი**

**მინესოტა 95:73 სან ანტონიო**

**ჰიუსტონი 106:78 სიეტლი**

**საკრამენტო 132:107 ფინიქსი**

**პორტლენდი 106:103 ლეიკერსი**

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 59 | 23 | 72,0 |
| დეტროიტი | 54 | 28 | 65,9 |
| ბოსტონი | 45 | 37 | 54,9 |
| ჩიკაგო | 47 | 35 | 57,3 |
| ვაშინგტონი | 45 | 37 | 54,9 |
| ინდიანა | 44 | 38 | 53,7 |
| ფილადელფია | 43 | 39 | 52,4 |
| ნიუ ჯერსი | 42 | 40 | 51,2 |
| კლივლენდი | 42 | 40 | 51,2 |
| ორლანდო | 36 | 46 | 43,9 |
| ტორონტო | 33 | 49 | 40,2 |
| ნიუ იორკი | 33 | 49 | 40,2 |
| მილუოკი | 30 | 52 | 36,6 |
| შარლოტი | 18 | 64 | 22,0 |
| ატლანტა | 13 | 69 | 15,9 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 62 | 20 | 75,6 |
| სან ანტონიო | 59 | 23 | 72,0 |
| სიეტლი | 52 | 30 | 63,4 |
| დალასი | 58 | 24 | 70,7 |
| ჰიუსტონი | 51 | 31 | 62,2 |
| საკრამენტო | 50 | 32 | 61,0 |
| დენვერი | 49 | 33 | 59,8 |
| მემფისი | 45 | 37 | 54,9 |
| მინესოტა | 44 | 38 | 53,7 |
| კლიპერსი | 37 | 45 | 45,1 |
| ლეიკერსი | 34 | 48 | 41,5 |
| გოლდენ სტეიტი | 34 | 48 | 41,5 |
| პორტლენდი | 27 | 55 | 32,9 |
| იუტა | 26 | 56 | 31,7 |
| ნიუ ორლეანი | 18 | 64 | 22,0 |

*პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ*

### პლეი ოფის პირველი რაუნდის წყვილები

**აღმოსავლეთი**

მაიამი (1) — ნიუ ჯერსი (8)

დეტროიტი (2) — ფილადელფია (7)

ბოსტონი (3) — ინდიანა (6)

ჩიკაგო (4) — ვაშინგტონი (5)

**დასავლეთი**

ფინიქსი (1) — მემფისი (8)

სან ანტონიო (2) — დენვერი (7)

სიეტლი (3) — საკრამენტო (6)

დალასი (4) — ჰიუსტონი (5)

*თამაშები დაიწყება 23 აპრილს*

### რეგულარული ჩემპიონატის ლიდერები

| | თამ. | რაოდ. | საშ. |
|---|---|---|---|
| **მექულეები** | | | |
| 1 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 75 | 2302 | 30.7 |
| 2 კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 66 | 1819 | 27.6 |
| 3 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 80 | 2175 | 27.2 |
| 4 დირკ ნოვიცკი (დალასი) | 78 | 2032 | 26.1 |
| 5 ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 80 | 2080 | 26.0 |
| 6 ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი) | 78 | 2003 | 25.7 |
| 7 ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი) | 80 | 2038 | 25.5 |
| 8 ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 77 | 1886 | 24.5 |
| 9 დუეინ ვეიდი (მაიამი) | 77 | 1854 | 24.1 |
| 10 რეი ალენი (სიეტლი) | 78 | 1867 | 23.9 |
| 11 მაიკლ რედი (მილუოკი) | 75 | 1723 | 23.0 |
| 12 შაკილ ონილი (მაიამი) | 73 | 1669 | 22.9 |
| 13 კორი მეჯიტი (კლიპერსი) | 66 | 1464 | 22.2 |
| 13 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 82 | 1817 | 22.2 |
| 15 სტივენ მარბერი (ნიუ იორკი) | 82 | 1781 | 21.7 |
| 15 ჯეისონ რიჩარდსონი (გოლდენ სტეიტი) | 72 | 1559 | 21.7 |
| 17 პოლ პირსი (ბოსტონი) | 81 | 1769 | 21.6 |
| 18 სტივ ფრენსისი (ორლანდო) | 78 | 1663 | 21.3 |
| 19 კარმელო ენტონი (დენვერი) | 75 | 1558 | 20.8 |
| 20 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 65 | 1339 | 20.6 |
| 22 პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საკრამენტო) | 66 | 1571 | 20.1 |
| 27 ზაკ რენდოლფი (პორტლენდი) | 46 | 1277 | 18.9 |
| 28 რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი) | 76 | 1424 | 18.7 |
| 28 სტივ ჯექსონი (ინდიანა) | 51 | 953 | 18.7 |
| 30 ჯალენ როუზი (ტორონტო) | 81 | 1495 | 18.5 |
| 32 პაუ გასოლი (მემფისი) | 56 | 1022 | 17.8 |
| 32 კარლოს ბუზერი (იუტა) | 51 | 909 | 17.8 |
| 35 ალ ჰარინგტონი (ატლანტა) | 66 | 1158 | 17.5 |
| 46 კირკ ჰაინრიხი (ჩიკაგო) | 77 | 1206 | 15.7 |
| 52 ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 73 | 1105 | 15.1 |
| 59 ლი ნეილონი (ნიუ ორლეანი) | 68 | 963 | 14.2 |
| **მოხსნელები** | | | |
| 1 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 82 | 1108 | 13.5 |
| 2 ბენ ვოლესი (დეტროიტი) | 74 | 902 | 12.2 |
| 3 შონ მარიონი (ფინექსი) | 81 | 915 | 11.3 |
| 4 ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 73 | 795 | 10.9 |
| 5 ტროი მერფი (გოლდენ სტეიტი) | 70 | 756 | 10.8 |
| 6 შაკილ ონილი (მაიამი) | 73 | 760 | 10.4 |
| 7 კურტ ტომასი (ნიუ იორკი) | 80 | 831 | 10.4 |
| 8 დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 82 | 823 | 10.0 |
| 9 დირკ ნოვიცკი (დალასი) | 78 | 757 | 9.7 |
| 10 ტაისონ ჩანდლერი (ჩიკაგო) | 80 | 775 | 9.7 |
| **მეპასეები** | | | |
| 1 სტივ ნეში (ფინიქსი) | 75 | 861 | 11.5 |
| 2 ბრევინ ნაითი (შარლოტი) | 66 | 591 | 9.0 |
| 3 ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 66 | 545 | 8.3 |
| 4 სტივენ მარბერი (ნიუ იორკი) | 82 | 668 | 8.1 |
| 5 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 75 | 596 | 7.9 |
| 6 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 80 | 577 | 7.2 |
| 7 სტივ ფრენსისი (ორლანდო) | 78 | 547 | 7.0 |
| 8 ანდრე მილერი (დენვერი) | 82 | 569 | 6.9 |
| 9 მაიკ ბიბი (საკრამენტო) | 80 | 541 | 6.8 |
| 10 დუეინ ვეიდი (მაიამი) | 77 | 520 | 6.8 |
| **ჩამჭრელები** | | | |
| 1 ლარი ჰიუზი (ვაშინგტონი) | 61 | 176 | 2.89 |
| 2 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 75 | 180 | 2.40 |
| 3 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 80 | 177 | 2.21 |
| 4 შონ მარიონი (ფინიქსი) | 81 | 163 | 2.01 |
| 5 ბრევინ ნაითი (შარლოტი) | 66 | 131 | 1.96 |
| **დამფარებლები** | | | |
| 1 ანდრეი კირილენკო (იუტა) | 41 | 136 | 3.32 |
| 2 მარკუს კემბი (დენვერი) | 66 | 199 | 3.02 |
| 3 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 66 | 174 | 2.64 |
| 4 თეო რეთლიფი (პორტლენდი) | 63 | 158 | 2.51 |
| 5 ბენ ვოლესი (დეტროიტი) | 74 | 176 | 2.38 |
| **წუთები** | | | |
| 1 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 80 | 3388 | 42.4 |
| 2 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 75 | 3174 | 42.3 |
| 3 ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი) | 80 | 3274 | 40.9 |
| 4 ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი) | 78 | 3182 | 40.8 |
| 5 კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 66 | 2689 | 40.7 |
| **ახალბედა მექულეები** | | | |
| 1 ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 73 | 1105 | 15.1 |
| 2 ბენ გორდონი (ჩიკაგო) | 82 | 1235 | 15.1 |
| 3 დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 82 | 981 | 12.0 |
| 4 ლუოლ დენგი (ჩიკაგო) | 61 | 711 | 11.7 |
| 5 ჯეიარ სმიტი (ნიუ ორლეანი) | 76 | 782 | 10.3 |

### სნაიპერები

| | ჩაგდება | ტყორცნა | % |
|---|---|---|---|
| **თამაშიდან სროლები** | | | |
| 1 შაკილ ონილი (მაიამი) | 658 | 1095 | 60.1 |
| 2 ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 747 | 1336 | 55.9 |
| 3 იაო მინგი (ჰიუსტონი) | 538 | 975 | 55.2 |
| 4 უდონის ჰეისლიმი (მაიამი) | 346 | 641 | 54.0 |
| 5 ედი კარი (ჩიკაგო) | 393 | 730 | 53.8 |
| **სამქულიანები** | | | |
| 1 ფრედ ჰოიბერგი (მინესოტა) | 70 | 145 | 48.3 |
| 2 ჯო ჯონსონი (ფინიქსი) | 177 | 370 | 47.8 |
| 3 კუტინო მობლი (საკრამენტო) | 150 | 342 | 43.9 |
| 4 მაიკლ მილერი (მემფისი) | 140 | 323 | 43.3 |
| 5 დეიმონ ჯონსი (მაიამი) | 225 | 521 | 43.2 |
| **საჯარიმოები** | | | |
| 1 რეჯი მილერი (ინდიანა) | 250 | 268 | 93.3 |
| 2 ერლ ბოიკინსი (დენვერი) | 279 | 303 | 92.1 |
| 3 პეჯა სტოიაკოვიჩი (საკრამენტო) | 253 | 275 | 92.2 |
| 4 დეიმონ სტუდემაიერი (პორტლენდი) | 182 | 199 | 91.5 |
| 5 ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) | 343 | 382 | 89.8 |

# არვიდას მასიაუსკასი: მოსკოველებს ანგარიში უნდა გავუსწოროთ

**ბასკურმა** „ტაუმ" წლეულს უდიდეს წარმატებას მიაღწია — არსებობაში პირველად გავიდა ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, ევროლიგის ოთხთა ფინალში. მართალია, ნახევარფინალურ შეხვედრაში „ტაუ" მასპინძელ მოსკოვის ცსკა-ს ხვდება, მაგრამ თავად ოთხთა ფინალში გასვლა უკვე ბევრს ნიშნავს ესპანური კლუბისთვის.

ესპანურით და, „ტაუში" გამწევ ძალას ლეგიონერები წარმოადგენენ, რომელთა შორისაც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ლიტველი ევროჩემპიონი, უმკვირცხლესი და ხელჩუქბინი გამთამაშებელი არვიდას მასიაუსკასია. ოთხთა ფინალამდე მთელი ორი კვირა რჩება, მანამდე კი ევროლიგის ვებ-გვერდის ჟურნალისტებმა მასიაუსკასი დაიმარტოხელეს და ეს ინტერვიუ ჩამოართვეს.

**— ევროპის ჩემპიონობისა და ოლიმპიადაზე ლიტვის ნაკრებში თამაშის შემდეგ ახალ წარმატებას მიაღწიეთ და ევროლიგის ოთხთა ფინალში გახვედით. რას გრძნობთ?**

— ესაა ძალიან მძაფრი და სიტყვით გამოუთქმელი გრძნობა. არა მარტო მე, მთელი ჩემი გუნდი და „ტაუს" ფანები აღფრთოვანებულნი ვართ ამ წარმატებით. ევროლიგაში ყოველ წლიურად მატულობს დონე და ამ ტურნირში თუ თავს გამოიჩენ, ნიშნავს, რომ მართლა ძლიერი ხარ. მოსკოვში ბოლომდე საბრძოლად მივდივართ. მერე რა, რომ ცსკა-ა ჩვენი მეტოქე.

სხვათა შორის, მოსკოველებთან ანგარიში გვაქვს გასასწორებელი — შარშან სწორედ ცსკა-სთან ჭიდილში დავთმეთ ევროლიგის ოთხთა ფინალის საგზური.

**— ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპიდან ტოპ-16-ში „ტაუ", ასე ვთქვათ, ტაი-ბრეიკის პრინციპით მოხვდა. ამის გათვალისწინებით, ოთხთა ფინალში გასვლა მოულოდნელობა ხომ არ იყო?**

— არა, პირადად მე არ გამკვირვებია, ოთხთა ფინალში რომ გავედით. მართალია, სეზონი შედარებით სუსტად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდით, ევროლიგის საწყის ეტაპზე კი მართლაც გაგვიმართლა — მეხუთე გამსვლელი ადგილი ესპანურსავე „უნიკახას" ბურთების უკეთესი შეფარდებით ავართვით. სამაგიეროდ, ტოპ-16-ში მოვუმატეთ და ოთხთა ფინალში გასასვლელ საპლეიოფო სერიაში „ბენეტონთან" სრულად გამოვაჩინეთ საკუთარი ძალა.

**— სწორედ მაგ მატჩზე გკითხავთ. „ბენეტონის" მისსავე მოედანზე 39 ქულით დამარცხება**



არვიდას მასიაუსკასი

ალბათ მოულოდნელობა იქნებოდა თქვენთვის...

— ჩვენ ვერასოდეს წარმოვიდგენდით ასეთ რამეს. რეგულარულ სეზონში „ბენეტონმა" ორჯერ მოგვიგო და ჩვენგან ასეთ მარცხს ნამდვილად არ ელოდა. ის იყო ჯადოსნური მატჩი, რომელშიც ჩვენ ტყორცნებიც წაგვივიდა, დაცვაშიც კარგად ვითამაშეთ და, რაც მთავარია, მეტოქეს ყველა ტაქტიკური ჩანაფიქრი ჩავუშალეთ.

**— ამის გაკეთებას მხოლოდ ფიზიკური მზადყოფნა არ ეყოფოდა. „ტაუ" ფსიქოლოგიურადაც მობილიზებული იყო...**

— აბა, როგორ გინდა?! როცა ოთხთა ფინალში თამაშის პრეტენზია გაქვს, ფსიქოლოგიურადაც უნდა იყო მზად. ვფიქრობ, ეს მთავარია, რადგან როცა მეტოქე რეალურად შენზე ძლიერია, რაიმე სხვა, ფსიქოლოგიური ასპექტებით უნდა დათრგუნო.

**— წინა სეზონში შენ რეგულარულ ჩემპიონატში უკეთ გამოიყურებოდი, ტოპ-16-ში კი სტატისტიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შეგიმცირდა. ამ სეზონში კი პირიქითაა.**

— წლეულს მე სრულად სხვანაირად ვთამაშობ. ახლა კალათბურთს სხვა ჭრილში ვუყურებ და ადრინდელივით ქულების გროვებას კი არ ვეშურები, არამედ ვცდილობ, სხვა კომპონენტებშიც გამოვიჩინო თავი — პასები, ჩაჭრები ვაკეთო და დაცვაში წარმატებით ვითამაშო. მწვრთნელი მეუბნება, თუ ბევრ ქულას აკეთებ, მეტოქეები უფრო მეტ ყურადღებას გითმობენ მეურვეობისას. ამიტომ, პასის გაკეთება უნდა იცოდე, შედეგიანობა რომ შეინარჩუნო. ყველა ევროლიგის გუნდს მოეპოვება კარგი მცველი და თუ პასის გაკეთება და თამაშის წაკითხვა არ იცი, შორს ვერ წახვალ. აი, ამას ვითვალისწინებ და, მგონი, უკეთაც ვთამაშობ.

**— წინა სეზონში შენ პირველად ითამაშა ევროლიგაში და შედარებით უცნობი იყავი ყველასთვის, ახლა კი ვარსკვლავი ხარ და ალბათ მეტი მოწადინება გმართებს, რათა შენი თამაში ითამაშო..**

— რა თქმა უნდა, ვისგანაც საფრთხეს ელიან, იმას უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მცველები და ქულების გაკეთება ძნელდება. მაგრამ ასე ხომ მხოლოდ მე არ ვარ. ყველა ძლიერი მოთამაშე იგივე ბედს იზიარებს. თუმც ეს არაა პრობლემა, რადგან კალათბურთი გუნდური თამაშია და როცა გვერდში კარგი მოთამაშე გიდგას, წარმატებასაც მიაღწევ. შეიძლება, მეტოქის ერთ-ორ ლიდერს არ წაუვიდეს თამაში, მაგრამ მაინც წააგო. ყველაფერი ერთსულოვანებაზე და ურთიერთგაგებაზეა დამოკიდებული.

**— „ტაუს" რეპუტაცია ასეთია — გუნდი, რომელიც არასდროს ნებდება. ესაა თქვენი მწვრთნელის, დუშკო ივანოვიჩის სტილი. ორი სეზონია ამ გუნდში ხარ და შენ რას იტყვი „ტაუს" თამაშის თავისებურებაზე?**

— პირველ წელს გამიძნელდა „ტაუში". სამშობლო პირველად დავტოვე და დიდ გუნდში თამაშიც ჩემთვის სიახლე იყო. ივანოვიჩი ძალიან განსწავლული და პროფესიონალი მწვრთნელია. მე მას წლეულს უკეთ ვუგებ და შედეგიც სახეზეა. მუშაობა და მხოლოდ მუშაობა — აი, ჩვენი გუნდის დევიზი. თავს არც ერთი მოთამაშე არ ზოგავს და როცა ეს მართლაც ასეა, ბოლომდე ბრძოლის ჟინიც მუდამ მოგეპოვება.

**— ახლა ოთხთა ფინალის მატჩზე გკითხავ. მოსკოვის ცსკასთან ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ოთხივე შეხვედრა წააგეთ, თუმც ყველა დაძაბულ ბრძოლაში. აქედან ბოლო მატჩი „ტაუმ" შარშანდელ სეზონში უკანასკნელ წამებზე წააგო და ოთხთა ფინალის გარეშე დარჩით. რევანშისთვის ხართ განწყობილი?**

— ცხადია. ჩვენ ბოლო ორ წელიწადში არასოდეს წაგვიგია დიდი სხვაობით ცსკა-სთან და რატომ უნდა გვეშინოდეს. პირიქით, უკეთეს ფსიქოლოგიურ ვითარებაში ჩვენ ვიმყოფებით, რადგან ცსკა მასპინძელია და წაგების უფლება არაა აქვს. ცსკა არაფრით არ გვჯობს, შანსები თანაბარია.

# ორი სამზეც მაგრები ვართ

## ესტონეთში თამაშიდან 19 კალათბურთელი გააძევეს

**მოედანზე** ჩხუბი ჩვენში რომ იციან, ისეთი უნდა, მაგრამ თურმე საკალათბურთო დონით უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც იწყებენ მუშტებს. საკუთრივ მუშტი-კრივი დიდი არაფერი, მაგრამ ის კი უნიკალური შემთხვევაა, რომ ესტონეთის ჩემპიონატის მატჩში მსაჯმა თამაშიდან ერთბაშად 19 კალათბურთელი გააძევა.

ამბავი მოხდა ესტონეთის ჩემპიონ ტალინის „როკსა" და რალპის „ნიუ ბალანსის" საპლეიოფო მატჩში. ეს გახლდათ ნახევარფინალში გასასვლელი შეხლა, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა და ბოლო ხუთიოდ წუთი მოედანზე მთლიანობაში 5 მოთამაშე იმყოფებოდა.

ჩხუბი რალპელთა გაცუდებულ შეტევას მოჰყვა. „ნიუ ბალანსის" ლატვიელი ლეგიონერი არტის სტანკევიჩი „როკის" ლიტველ ფორვარდ აუდრიუს ვასკისზე დაჯარიმდა და აფეთქდა, მაგრამ რა აფეთქდა...

მოედანზე სათადარიგოებიც შემოცვივდნენ და კაი დაკა-დაკას შემდეგ საქმეში მსაჯი ჩაერია, რომელმაც 19 მოთამაშე დაუფიქრებლად გააძევა თამაშიდან.

მასპინძელი „როკი" ამ ინციდენტისას გვარიანად ლიდერობდა და უმცირესობაში, ორი კალათბურთელის ამარა დარჩა. თუმც ამ ტრაგიკომიკურ მატჩში ტალინელებმა მაინც გაახერხეს და სამი კაცით მოთამაშე „ნიუ ბალანსი" 81:77 დაამარცხეს. ესტონეთის ფედერაციაში კი ბჭობენ, მოკვეთონ თუ არ ორივე გუნდი ჩემპიონატიდან.

**ირაკლი პერტაია**



# საფინს რამსები აერია



მარატ საფინი

ბარსელონა
**მეორე წრე**

**მარატ საფინი (1, რუსეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4 6:4**

**მას** შემდეგ, რაც რამ წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობაზე ბრწყინვალედ იმარჯვა, რუს მარატ საფინს რამსები აერია. მან ვერაფრით გამოიჩინა თავი ინდიანუელსურ, მაიამურ და მონტეკარლოურ მასტერსებზე და ბოლო ოთხ ტურნირზე ერთხელაც ვერ გააღწია მეოთხედფინალამდე. ბარსელონაში კი, სადაც მას 2000 წელს უჩემპიონია და წლეულს სულაც პირველ ნომრად გახლდათ განთესილი, ისე რა არგენტინელ ხოსე აკასუსოსგან იძლია. ეს მათი მეორე დაპირისპირება გახლდათ და ახლაც — ისევე როგორც 2002 წლის მსოფლიოს გუნდურ თასზეც — აკასუსო უფრო ძლიერი იყო. ოკრობოკროდ მოჩოგნავე საფინმა ვერაფერი გააწყო ძალზედ მოტივირებული და მობილიზებული მეტოქის წინააღმდეგ და ნამატჩევს მხოლოდ იმით ინუგეშობდა, ეგებ ორ მომდევნო ბობოლა თიხნარტურნირზე — რომსა და ჰამბურგში მაინც ვივარგოო.

ჰიუსტონი
**მეორე წრე**

**ენდი როდიკი (1, აშშ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 (8:6) 6:4; ტომი ჰაასი (3, გერმანია) — ჯეფ მორისონი (აშშ) 7:6 (7:4) 6:2; იურგენ მელცერი (7, ავსტრია) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 2:6 6:2 7:5; ლუის ორნა (8, პერუ) — პოლ გოლდშტაინი (აშშ) 6:1 6:7 (7:9) 7:5**

**თავის** მესამე საიქაო ტიტულზე მონადირე ენდი როდიკი გზას ჯერ-ჯერობით თვისტომთა მუსვრით იკაფავს. პირველ წრეში მან მავან ბოეკერს აჯობა, ახლა კი გამოცდილ ჯინეპრის გასცდა. თავს სალოლ და კაცურად ვგრძნობო, იძახდა მერე ენდიმო და ვგონებ, არცა სტყუოდა. ისე კი, მისებრ უპრობლემოდ ბურთაობს შარშანდელ ფინალში მისი მძლეველი ტომი ჰაასიც, ვინაც თავისი წილი პრობლემები ამერიკელსავე ჯეფ მორისონთან მოიგვარა.

**არტემ ჩაჩანიძე**



ედ მოზესი და ლიუ ხიანგი

# სახელისა და დიდების მოლოდინში

**საშუალო** დისტანციებზე წყვილი ოლიმპიური ოქროს მფლობელი მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი და ბრიტანელი ქალი ვარსკვლავი კელი ჰოლმსი იმ მძლეოსანთა შორის არიან, რომლებიც 16 მაისს, პორტუგალიის ქალაქ ესტროლში დანიშნულ მსოფლიოს სპორტსმენთა დიდ დაჯილდოებაზე ნომინანტთა სიაში შეიყვანეს.

ნომინანტების სია გარდასულ დღეთა უდიდესი ათლეტებისგან შედგენილმა 40 კაციანმა ჟიურიმ ჩამოწერა. ისინი მსოფლიოს სპორტის აკადემიის წევრები გახლავან და მათ თავჯდომარეობს 400 მეტრზე თარჯბენში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ედვინ მოზესი თავკაცობს.

საინტერესოა, რომ მძლეოსანთაგან დებიუტანტების ნომინაციაში გახლავან ჩინელი ოლიმპიური ჩემპიონები ჰუანგ ხინგი და ლიუ ხიანგი. ათენის ოლიმპიადის ტრიუმფატორები, ელენა ისინბაევა, კაროლინა კლუფტი და ზემოხსენებული ჰოლმსი კი ქალთა ჯილდოს შეეცილებიან ერთმანეთს.

გთავაზობთ ნომინანტთა სიებს:

საუკეთესო სპორტსმენი კაცი: ლანს არმსტრონგი, (ველომრბოლი მეექვსედ მოიგო ტურ დე ფრანსი); ზემოხსენებული ელ გურუჯი, როჯერ ფედერერი, (როგბურთელი. დიდი სლემის სამ ტურნირში გაიმარჯვა); მოცურავე მაიკლ ფელპსი (ათენში ექვსი ოქრო მოიგო); ფორმულა 1-ის პილოტი მიხაელ შუმახერი (მეშვიდედ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონობა) და ვალენტინო როსი, (მოტომრბოლელი, რომელმაც მეოთხე გრან პრის პირველობა მოიპოვა).

ქალთა შორის სახელსა და დიდებას ელტვიან: ზემოთ ჩამოთვლილი მძლეოსნები, უიმბლდონის გამარჯვებული ყმაწვილი ჩოგბურთელი ქალი მარია შარაპოვა, მეგოლფე ანიკა სორენსტამი და ველოვარსკვლავი ლეონტიენ ზეილაარდ ვან მოორსელი.

როგორც მოგახსენეთ, არის კიდევ დებიუტანტთა, სპორტში დაბრუნებულთა და ინვალიდთა ნომინაციები.

დაბრუნებულთა სიიდან აღსანიშნავია იაპონელი ძიუდოისტი, აწ უკვე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ტადაჰირო ნომურა და მარათონელი პოლა რედკლიფი.

**ტუტა სიხარულიძე**



# მუჰამედ ალი — უდიდესი ამერიკელი

**მსოფლიოს** ყოფილი ჩემპიონი, სუპერმძიმე წონაში, მოკრივე მუჰამედ ალი ამერიკის საქველმოქმედო ორგანიზაციის, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის მიერ დაჯილდოვდა „უდიდესი ამერიკელის“ ტიტულით.

ამ ორგანიზაციამ, რომელიც უმცირესობათა უფლებების დამცავია, განსაკუთრებით აღნიშნა ალის დამსახურებანი, „ამერიკელ მუსულმანთა პოზიტიური სახის შექმნისთვის.“

თავად ალიმ ვერ შეძლო დასწრებოდა საზეიმო ვახშამს, რომელიც მის საპატივცემულოდ გაიმართა. თუმცა, იქ შეკრებილთ აჩვენეს წინასწარ მომზადებული ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ იღებს მუჰამედ ალი ჯილდოს და იქვე წარმოთქვამს პატარა სამადლობელ სიტყვას.



# გლახაკისა და ქილა მრბოსი არ იყოს...




კლიჩკოთაგან უმცროსი, ვლადიმერი რომ 23 აპრილს კუბელ ელიზეო კასტილიოს შეერკინება, გუშინდელი „სარბიელიდანაც“ გაიგებდით. იქვე იმასაც აჰოიკითხავდით, თუ როგორ ასხამდა ხოტბას ვლადიმერი თავის მეტოქეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც თავდაჯერებული და გამარჯვებისთვის შემართული ჩანდა.

ძმებ კლიჩკოების ვებ-გვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში კასტილიომაც დაახლოებით იგივე შინაარსის განცხადება გააკეთა.

„ვლადიმერის ბრძოლა [illegible] დახვეწილობით გამო[illegible] ლი ბიჭია და მარტივადაც დეიდარადაც ურტყამს, თუმცა მე მისი სუსტი მხარეებიც [illegible] მერს გამჟღავნებული დარტყმას [illegible] ემხილება. მე გამარჯვებისთვის ჩამოვედი და გავიმარჯვებ კიდეც.“

კუბელმა ერთი [illegible] საიდუმლოც გაამხილა. კლიჩკოებთან [illegible] ძილის საშუალება [illegible] ყია და სპარინგ—პარტნიორებთან სპეციალურად აურჩევია წონით და გაბარიტებით მასზე ბევრად აღმატებული მოკრივეები, რათა [illegible]

[illegible]

სხვისი არ ვიცით და, ჩვენ მისი სიტყვები ერთი ქართული ანდაზის „გლახაკი და ქილა [illegible]“ [illegible] გვაგონებს. მე კი [illegible] დროის მიმდინარე მოწინააღმდეგებზე ფიქრია, ჯერ ამხელა კიდე გყავს დასამარცხებელი.

**ლადო ფულუკიძე**



# ჩინეთში მანდილოსნები გამოარკვიეს



გამარჯვებული ამერიკელი ზოტონსკი

**ჩინეთის** ქალაქ ცზინანში დასრულდა მსოფლიოს ქალთა ტურნირი, სადაც პლანეტის 12 ცნობილი მანდილოსანი მოჭადრაკე მონაწილეობდა. მოჭადრაკეთა შორის აღნიშვნის ღირსნი იყვნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ჩინელი ჟუ ჩენი, ფრანგი ალმირა სკრიპჩენკო, ამერიკელები — ირინა კრუში და ანა ზოტონსკიჰი. მათი რეიტინგები 2400-ს სჭარბობდა.

ტურნირი 9 ქულით ამერიკელმა ზოტონსკიჰმა მოიგო. 11 პარტიიდან ანამ 8-ში იმარჯვა, ორი ყაიმით დაასრულა და ერთში წააგო. ამერიკელს 0,5 ქულით ჩამორჩა მასპინძელი დიდოსტატი ჟუ ჩენი, რომელიც რეიტინგით პირველი ნომერი იყო ტურნირზე.

**ლამა გეგეჭკორი**

# ქმრის გამტაცებელი

**ხისთავიანიაო,** კაცმა ნიგერიელ ადეუელ ებიზე უნდა თქვას. ამ ქვეყნის ყოფილ დედაქალაქ ლაგოსში WBO ვერსიით რეგიონული ჩემპიონის ტიტული თამაშდებოდა კრივში. ზემოხსენებული ადეუელ ები კონგოელ ჟუსლენ კაბელის ერკინა და ტრიბუნების მხარდაჭერის მიუხედავად, მაინც დათმო 12-რაუნდიანი ბრძოლა. მსაჯებმაც წესისამებრ ჩემპიონის ქამარი გამარჯვებულს გადასცეს, თუმცა ები გახელდა, მსაჯებს მიეჭრა და იქაურობა ლანძღვა-გინებით აიკლო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ WBO-ს ვიცე-პრეზიდენტი აირინ კოული დამარცხებულს შეჰპირდა, ოღონდ შენ დაწყნარდი და მატჩ-რევანშს მოგიწყობთო. თუმცა ნიგერიელი ვერც ამ დაპირებამ დააშოშმინა, რინგზე ავარდა, კონგოელის მწვრთნელს ჩემპიონის ქამარი გამოსტაცა და თავისი ავტომანქანით უცნობი მიმართულებით მიიმალა.

ასე დარჩა ჩემპიონი უქამროდ, მის გამტაცებელს კი მეგობრები დაედევნენ, რათა მისაკუთრებული ჯილდო მანამ დაებრუნებინათ, სანამ საქმეში პოლიცია ჩაერეოდა.

მეგობრებმა მართლაც მოახერხეს განაწყენებული მოკრივის დაშოშმინება და ქამრის დაბრუნება. ადეუელ ებიმ ბოდიშიც მოიხადა თავისი საქციელისთვის რაც იმითაც ახსნა, რომ მისი თანამემამულე ბაშა ალი აშკარად ემხრობოდა ჩემს მეტოქესო.

ბაშა ალი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნიგერიელი მოკრივეა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად სამჯერ იბრძოდა სხვადასხვა ვერსიით და მიუხედავად იმისა, რომ კრივისთვის საკმაოდ ასაკოვანია. 49 წლისაა კვლავაც აგრძელებს პროფესიულ რინგზე გამოსვლას.

ბაშა ალიმ ადეუელ ები იმითაც განარისხა, რომ ბრძოლის დასრულების შემდეგ რინგზე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშაში გახვეული გამოვიდა.

ების თქმით, ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც მოთმინების ფიალა აავსო, რის მერეც ხელი დასტაცა ჩემპიონის ქამარს და გაიტაცა.

ჟოუსლენ კაბელამ ების ბოდიში მიიღო და მასთან ნეიტრალურ ტერიტორიაზე მატჩ-რევანშზე დათანხმდა.

**ლადო ფულუკიძე**

# არაბი ფანი

ეს საუდელი ფეხბურთის გულშემატკივარია. მექაში, რალაც მაშრიყ-მაღრიბული საფეხბურთო ტურნირის ფინალში ერთმანეთს საუდელები და მაროკოელები შეხვედრიან და სტადიონიც გადაჭედილი ყოფილა.





# ვალონიური

ფლეშ ვალონი, ვალონიის ველოტური გადებულა აღმოსავლეთ ბელგიის გზებზე. გზა შარლერუასა და უის შორის იტალიელ დანიელო დი ლუკას მოუგია.

# რეჯი მიდის

რეჯი მილერი მიდის. დიდ ინდიანელ სნაიპერს რეგურალური ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში ლამის მთელი შტატი გამოეთხოვა. „ინდიანა პეისერზის“ დირექტორმა, დიადმა ლარი ბერდმა თბილი სიტყვები არ დაიშურა და საერთოდ, იმ საღამოს არავინ არაფერი დაიშურა რეჯი მილერისთვის. ნომერი 31 კი ჭერში დაიკიდება. რეჯი მილერი ხომ ლამის ორ ათეულ წელიწადს ნიშნავდა „ინდიანა პეისერზს“.






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნასიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხოძერია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, თიარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოგალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოვრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წეროძელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge